სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 2 სექტემბერი 2004 №203 (2224) ფასი 50 თეთრი

შევეშვათ წუწუნს და წუხილს, შევავსოთ ჭიქები!



ბადრი კეთილაძის ფოტოები

ვარდები არ არიან

„მე „ჩელსის“ ფანი ვარ. ჩემი ფესვები ფეხბურთშია, მე ყოველთვის მიყვარდა ფეხბურთი და მეზიზღებოდა რაგბი. რაგბიში იმის გამო წავედი, რომ ჩემს სკოლაში, ჩრდილოეთ უელსში მხოლოდ რაგბის თამაშობდნენ.“ ამ სიტყვებს ვინმე რაგბის მოძულე კი არა, თვით მისი ურაგბოვნესობა, სერ კლაიდ ვუდვორდი ამბობს, ინგლისის მორაგბეთა ნაკრების თავკაცი და ინგლისში მსოფლიოს თასის ჩამტანი კაცი.

გადაწყდა, კლაივ ვუდვორდი რაგბიდან ფეხბურთში მიდის და გუშინდელი ცნობებით „საუთჰემპტონში“ დასაქმდება. რა ბედი ეწევა 2003 წლის მსოფლიოს თასის მომგებ ინგლისის სარაგბო ნაკრებს და ვინ შეცვლის ვუდვორდს, ამაზე ახლა ჭორის დონეზეც ვერავინ ვერაფერს ვარაუდობს. თავად ვუდვორდი კი, ჩემს საბოლოო გადაწყვეტილებას ხვალ პრესკონფერენციაზე მოგახსენებთო, ამბობს და ეს „ხვალ“ დღესაა.



ვუდვორდის განდგომამდე ერთი დღით ადრე კი ინგლისელ „ვარდებს“ კიდევ ერთი დიდი კაცი დააკლდათ — სანაკრებო კარიერა დაასრულა მსოფლიოს ჩემპიონთა კაპიტანმა, 32 წლის ლოურენს დალალიომ, ვისაც ინგლისის ნაკრებში მოხვეჭილი 73 კეპი და 15 ლელო დაეკვეხნება.

FOOTBALL



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟირესი სუნამოს იპკურებს ფრანგის

კმაყოფილება არწაგებაა

პრესა ჩვენი პარტნიორია — ასეთია ალენ ჟირესის ერთ-ერთი დევიზი და პრესკონფერენციებსაც უხვად მართავს. თურქეთთან მატჩამდე კიდევ ორი დღეა და ჟირესი მასმედიას კიდევ შეხვდება. გუშინ კი მუსიე მწვრთნელმა სასტუმრო „ბატესტაში“ გვიმასპინძლა, საიდანაც დღეს საღამოს აიბარგება ჩვენი ეროვნული ნაკრები სათურქეთოდ



— ამას ორი მხარე აქვს — ნახევრად შევსებულ ჭიქაზე შეიძლება ვთქვათ, რომ ის ნახევრად ცარიელია ან ნახევრად სავსე. ჩვენთვის მთავარია, წუწუნს და წუხილს შევეშვათ და გამარჯვება ვიპოვოთ. მოლდოვასთან წაგებულ მატჩზე კი ისიც უნდა ვთქვა, რომ შვიდი არარსებული თამაშგარე დაგვიფიქსირეს. წაგებას ამას არ ვაბრალებ, მაგრამ ეს თამაშის მნიშვნელოვანი ელემენტი იყო.

— რა ხანია, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ხართ და გუნდში თუ ალმოაჩინეთ ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული ფეხბურთელები?

— არის ფეხბურთელთა ბირთვი, რომელთა გარშემო სხვა ფეხბურთელები ტრიალებენ. ეს ბირთვი თამაშიდან თამაშამდე უფრო კარგად იკვეთება. კალაძე, ჯამარაული, იაშვილი ისეთი ფეხბურთელები არიან, რომლებიც პიროვნული თვისებებითაც გამოირჩევიან.

— ახალწვეულებზე, ლაშა სალუქვაძესა და ჯაბა კანკავაზე რას იტყოდით?

— მოედნის მიღმა ისინი ცოტა შებოჭილები ჩანან, მაგრამ ნაკრებშიც იგივე ბურთით თამაშობენ ფეხბურთს, რითაც კლუბში.

— თურქეთთან მატჩში რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?

— მთავარია, თურქეთიდან უქულოდ არ ჩამოვიდეთ.

— თქვენ პირველად გაგყავთ გუნდი შესარჩევ ეტაპზე — რას ნიშნავს თქვენთვის ეს და როგორც მწვრთნელი, როგორ ფორმაში ხართ?

— მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში თავისებური ეტიკეტია ყველასთვის. პირადად ჩემთვის ეს ძალიან ძვირფასი რამ არის. პასუხისმგებლობას არ გავურბივარ — ეს არის ბრძოლა, რომელშიც მეც ვმონაწილეობ. ახლა სულ სხვა დონეზე მოგვიწევს ასპარეზობა. მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს კარგ სუნამოს შევადარებდი.

— წინ ორი შეხვედრა გველის თურქეთთან და ალბანეთთან და ამ მატჩებისთვის კონცენტრაცია უკვე დავიწყეთ. გამოძახებულ ფეხბურთელთაგან მხოლოდ ორი გვაკლია — ოთარ ხიზანეიშვილი დღესვე შემოგვიერთდება, ლევან კობიაშვილი კი ალბათ თურქეთში — მას კბილი აწუხებდა, მაგრამ ექიმმა თამაშის ნება უკვე დართო. მოკლედ, ნაკრების ყველა ფეხბურთელი მწყობრშია.

— რა ტაქტიკით ითამაშებთ თურქეთთან?

— თურქეთის ნაკრების მატჩების ვიდეოფირები ვნახეთ და ვცდილობთ, დავადგინოთ, დაახლოებით რა შემადგენლობით ითამაშებს მეტოქე, თორემ, ცხადია, თურქეთის ნაკრების მწვრთნელი არანაირ მასალებს არ მოგვაწვდიდა.

— საქართველოს ნაკრებმა ბოლო ორი მატჩი წააგო — ეს სათურქეთოდ გუნდზე უარყოფითად იმოქმედებს თუ პირიქით?

დავით თავართქილაძე

ირლანდია

პრემიერლიგა. XXV ტური

უოტერფორდი 3:1 შელბურნი

იტალია

თასის I ეტაპი

კომო 0:3 პიაჩენცა	**ფიორენტინა 3:0 ვერონა**
ტერნანა 1:0 რიმინი	**პესკარა 1:1 პერუჯა**

მაკლიშს კლიშე არ გაუმართლა

ის ისევ დაეყრდნობა ხიზანიშვილს, რომელსაც 15-20 წუთი არ აფრთხობს

ეროვნული ნაკრების მოთამაშეთაგან თუ ვინმეზე ითქმის, სტაბილური ფეხბურთელიაო, ერთ-ერთი ზურაბ ხიზანიშვილია. ტრაპიზონულ მატჩშიც მასზე ბევრი იქნება დამოკიდებული. თუმცა ჩვენი საუბარი იმ ორი საკლუბო მატჩით დაიწყო, რომლებშიც ზურას არ უთამაშია

— ცეესკასთან სკამზე ვიჯექი, „სელტიკთან“ კი განაცხადშიც არ ვიყავი. ბუნებრივია, ალექს მაკლიშთანაც მქონდა ამის თაობაზე საუბარი. მითხრა, რომ ამ ეტაპზე სხვა ყაიდის ფეხბურთელი სჭირდებოდა, რომელიც იმ მატჩებში მწვრთნელის კონკრეტულ მონახაზში ჩაჯდებოდა. ამ თამაშების შემდეგ მაკლიშმა აღიარა, რომ ტაქტიკურმა ცვლილებებმა არ გაუმართლა და ისევ ჩემზე აპირებს დაყრდნობას.

— შოტლანდიური პრემიერლიგის ოთხი ტურია ჩატარებული, ამას დაუმატე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი, „რეინჯერსს“ აქამდე ოპტიმალური სათამაშო სქემა არ შეუმუშავებია?

— სეზონის დასაწყისში გუნდს თავისი მონახაზი და ტაქტიკური სქემა კი უნდა ჰქონდეს, მაგრამ მაკლიში სამკაოდ ხშირად ცვლის შემადგენლობას და შეუძლებელია, ამას უკუშედეგი არ მოჰყოლოდა. ჰოდა, შედეგიც სამწუხაროა, ჩემპიონთა ლიგაშიც ვერ მოვხვდით და „სელტიკთანაც“ დავმარცხდით. ამან გუნდში არეულობაც წარმოშვა. ორი პრინციპული თამაშის წაგებამ ფეხბურთელებს რწმენა დაუკარგა. შოტლანდიური პრესაც სულ სხვაა, „რეინჯერსი“ რომ გქვია, შენგან ყოველთვის მეტს ითხოვენ.

— „რეინჯერსის“ თამაში ახალ სეზონში გვაფიქრებინებს, რომ აქცენტი გუნდურ თამაშზე უფროა, ვიდრე უწინდელ სანახაობრივ, აგრესიულ ფეხბურთზე, ანუ იმაზე, რასაც ტრადიციულად თამაშობდა ეს გუნდი...

— წინა სეზონის შემადგენლობას რაც შეეხება, თქმა არ უნდა, ცალკეული ფეხბურთელებით, სახელებით ის გუნდი სჯობდა, წლეულს კი მართლაც მეტია გუნდურობის ელემენტები. თუმცა ჯერჯერობით შედეგი მაინც არ ჩანს.

— „რეინჯერსს“ უეფას თასზე და შოტლანდიის ჩემპიონატში თამაშიღა დარჩა, რომელზე გაკეთდება აქცენტი?

— ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა კლუბის უმთავრესი ამოცანა იყო. ეს ვერ მოვახერხეთ და ახლა იმის კითხვა, უეფას თასზე წარმატებული თამაში თუ შოტლანდიის ჩემპიონობა. აქ უკვე აზრები თანაბრად იყოფა. თუმცა შოტლანდიელი უნდა იყო, ან იქ მაინც უნდა ცხოვრობდე, რომ გაიგო, თუ რას ნიშნავს „სელტიკის“ დამარცხება, მისი უკან მოტოვება და ჩემპიონობა. ეს თუ მოახერხე, მერე ყველაფერზე ხუჭავენ თვალს.

— „რეინჯერსში“ შენს უთამაშებლობას ჩვენში სხვა მიზეზითაც განიცდიდნენ: ნაკრებს ახალი შესარჩევი ეტაპი ეწყება, თანაც თურქეთში უაღრესად მძიმე მატჩით. რამდენად მზად ხარ სანაკრებოდ?

— ფორმაში ვარ და არც ტრავმა მაწუხებს. ფიზიკურადაც კარგად ვგრძნობ თავს. ნაკრების სხვა მოთამაშეებიც ჯანმრთელად არიან. მგონი, კარგა ხანია, ასეთი ოპტიმალური შემადგენლობით არ შევკრებილვართ. ჩემზე კი შეგიძლიათ, დაწეროთ, რომ ზურა ხიზანიშვილი ნაკრების ორივე თამაშისთვის აბსოლუტურად მზადაა.

— თურქეთში თამაში რომ უძნელესი საქმეა, ყველამ იცის, თანაც ამ ქვეყნის ნაკრებიც ერთ-ერთი უძლიერესია. რა შანსი ექნება საქართველოს ნაკრებს ტრაპიზონში?

— თურქული ფეხბურთის პროგრესზე ლაპარაკიც ზედმეტია. ძალიან მაგარი გუნდია. თან შინ თამაშობს და სიურპრიზებსაც უნდა ველოდოთ. თუმცა ჩვენ თუ მოლოდინის პრინციპი ავირჩიეთ, ჩავთვალოთ, რომ თამაში უკვე წაგებულია. მთავარია არა ტაქტიკა, რომელსაც თურქებისთვის ავირჩევთ, არამედ იმ ფეხბურთელების ზუსტი შერჩევა, რომლებიც 4 სექტემბერს საუკეთესოები იქნებიან.

— უკვე მერამდენედ ბიჭები, ალბათ, ერთმანეთს ეტყვით, რაც იყო, დავივიწყოთ, ახალი იწყება...

— მთავარია, ის გავითავისოთ, რას და რატომ ვივიწყებთ. თუ მხოლოდ იმიტომ, რომ ის წარსულია და მორჩა, ეს სწორი არაა. ძველი შეცდომები არ უნდა დავივიწყოთ.

— ჟირესმა საქართველოს ნაკრებისთვის რამდენიმე სქემა შეიმუშავა, რომელზე გადაწყობაც თამაშისას მოხდებაო...

— თანამედროვე ფეხბურთში გუნდი არ მოიძებნება, რამდენიმე ტაქტიკური მონახაზი არ ჰქონდეს. თუმცა მარტო ესეც არ შველის საქმეს. რა სქემითაც უნდა ეთამაშა საბერძნეთის ნაკრებს, ვინ იფიქრებდა, რომ ის გახდებოდა ევროპის ჩემპიონი? იმდენად მობილიზებული და დახვეწილი, სათამაშო დისციპლინით გამორჩეული გუნდი იყო და მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ისეთი სწორი ფეხბურთი ითამაშა, რომ ღირსეულად გაიმარჯვა.

— არსებობს მოსაზრება, რომ თურქეთში ყველაზე ძნელი საწყისი 15-20 წუთი იქნება...

— ამას კატეგორიულად არ ვეთანხმები. ბევრჯერ მომხდარა, სწორედ პირველი თხუთმეტი წუთი ყოფილა იმდენად მსუბუქი, რომ ჩვეულებრივ გახურებასაც ვერ შეედრებოდა და პირიქით, ისეთი ბოლო თხუთმეტი წუთიც მითამაშია, მინატრია, ნეტავ, საერთოდ არ ყოფილიყო-მეთქი. მოკლედ, თამაში 90 წუთია საჭირო.

— რამდენად იცნობ თურქეთის ნაკრებს?

— ფაქტობრივად, მხოლოდ ტელევიზორით. ტრაპიზონში ამხანაგურ მატჩში მე არ მითამაშია. თუმცა ორი აზრი არ არის, რომ ეს ის თურქეთის ნაკრები აღარაა, 2002 წელს რომ იყო. აგერ, ნახეთ, საბერძნეთი ყველას ფავორიტად ჰყავს შერაცხული, არადა, ძნელი იქნება, ბერძნებმა იმ დონის შენარჩუნება მოახერხონ. ისინი, ემოციისგან დაცლილები და უმაღლეს მწვერვალზე მყოფები, გადმოწყობას ვერ მოახერხებენ.

დავით ერაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარშან ალბანეთში წაგებული მატჩის მერე ალექსანდრე რეხვიაშვილს საქართველოს ნაკრების მაისურა აღარ მოურგია. ფუტკარივით მუშა საყრდენ ნახევარმცველს უკლუბოდ ყოფნის დრო ერთობ გაუგრძელდა, მაგრამ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და ახლა ალეკო რიგის „ვენტსპილსის“ ერთ-ერთი ლიდერია. ალენ ჟირესმაც მისი სათურქეთ-საალბანეთო ნაკრებში გამოძახება არ დააყოვნა. ფრანგი მწვრთნელი წუხდა, გუნდში შემქმნელი ფეხბურთელების მოზღვავებაა, ჩამშლელებში კი ძალიან გვიჭირსო და ამ საქმისთვის ხომ რეხვიაშვილი პირდაპირ მისწრებაა.

ალეკოს გუშინ სასტუმრო „ბატესტაში“ რომ შევხვდით, წინასწარ გაგვაფრთხილა, თურქეთის ნაკრებზე და ჩვენს შანსებზე ნუ ვისაუბრებთ, ყველაფერს ტრაპიზონული მატჩი დაგვანახვებსო...



რეხვიაშვილი თურქებზე არ ლაპარაკობს სკონტოზე ლაპარაკობს ბევრს

— დიდი ხანია, ნაკრებში აღარ გამოჩენილხარ და რაიმე სიახლე თუ შენიშნე?

— სასიხარულოა, რომ ძალიან ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა, რაც თავისთავად კონკურენციის გაზრდაზე მიანიშნებს. ეს აუცილებელი პროცესია, შედარებით ძველები ახლებს გვერდში უნდა დავუდგეთ და დებიუტანტისთვის ჩვეული ნერვიულობა უნდა დავაძლევინოთ.

— შენ პირველად შეხვდი ალენ ჟირესს და მის საქმისადმი მიდგომაზე რას იტყვი?

— ჯერ ვერაფერს, თუმც ჟირესი ძალიან მონდომებული ჩანს და იმედია, თავის ხელს დაატყობს ნაკრებს. ჩემი მხრივ, ძალიან გამიხარდა, რომ ნაკრებში მომიწვია, როგორც ყოველთვის, არც ახლა დავზოგავ თავს.

— „ვენტსპილსს“ ძალიან მალე მოერგე. ალბათ, შენც და კლუბიც კმაყოფილები ხართ...

— რა თქმა უნდა. ძალიან სურდათ ჩემი გადაყვანა, მოსკოვური კლუბიდან ტრანსფერი გამოისყიდეს და წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გამიფორმეს. თანაც, ხომ იცით, „სკონტოში“ თამაშისას რამდენჯერ მყავს „ვენტსპილსი“ გამწარებული და ეს მშვენივრად ახსოვდათ.

— გოლებიც საკმაოდ დაგიგროვდა...

— შეტევაში წასვლის საშუალება მეძლევა. გუშინწინაც გავიტანე, ჩემპიონატის მატჩში სტუმრად „აუდასთან“ 6:0 მოვიგეთ. არ ვაჭარბებ, წლეულს ჩემპიონობის შანსიც გვაქვს და იქნებ მართლა დავამხოთ „სკონტოს“ ჰეგემონია. ერთი ქულით გვისწრებენ და ორი თამაში მარაგში აქვთ, მაგრამ წინ ბევრი მატჩია, თანაც „სკონტოს“ კიდევ ორჯერ უნდა შევხვდეთ.

— უეფას თასზეც ყოჩაღობთ. ბევრი არ ელოდა, თუ „ვენტსპილსი“ „ბრონდბიუს“ გააგდებდა...

— სხვათა შორის, რიგაში უფრო ჩაკეტილი თამაში იყო, დანიაში კი ნაკლებად გაგვიჭირდა. ყველა გახარებულია, „ვენტსპილსს“ ჯერ არ გაუვლია ზედიზედ ორი ეტაპი...

— მესამეში პოლონური „ამიკა“ გხვდებათ...

— ვნახოთ, „ამიკა“ ნაღდად არ არის დაუძლეველი ბარიერი და კლუბის ხელმძღვანელობას უკვე ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა აქვს დასახული.

თბილისის „დინამოც“ პოლონეთის გუნდს ხვდება — „ვისლა“ შედარებით რთული მეტოქეა, მაგრამ დინამოელებს სულით და გულით ვუსურვებ წარმატებას...

ილია ნანობაშვილი

სლავიამ მოგება გვასწავლა

დავით კვირკველია: თურქები მგლებივით გამოვლენ

წინა ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის ***დავით კვირკველიას*** *ნაკრებში თამაშს ჩვენც მივეჩვიეთ და თავად იგიც. დათო თავის საქმეს ყოველთვის დაუღალავად აკეთებდა. ეგაა, ახალ სეზონში ტრავმები მიეძალა, თუმცა უეფას თასის საპასუხო მატჩში „სლავიასთან“ ისევ ძველი კვირკველია ვიხილეთ — თავისი ფლანგის სრული ბატონ-პატრონი. ტრაპიზონში ნაკრებისთვის ბოლომდე დასახარჯად კვირკველია კვლავაც მზადაა. ჩვენი ინტერვიუც აქედან დაიწყო...*



— საქართველოს ჩემპიონატში ხეირიანად არც კი მითამაშია. თითქმის გამიცდა ხუთივე ტურის მატჩები. სეზონი ჩემთვის „ბატესთან“ შეხვედრებით დაიწყო და შემდეგ იძულებითი თხუთმეტდღიანი პაუზა გამომივიდა. ერთი კვირაა, სრული დატვირთვით დავიწყე ვარჯიში და ვგრძნობ, რომ ძალაც მოდის და ბურთთანაც ძველებურად ვარ, თუმცა რაღაც მაინც მაკლია, ბოლომდე კმაყოფილად რომ ვიგრძნო თავი.

— „სლავიასთან“ თამაში და მოგება საკუთარ ძალების რწმენაშიც შეგეშველებოდა...

— კარგია, როდესაც ასეთ გუნდს ეთამაშები და ამარცხებ. ეს მეტოქისადმი შიშის სინდრომს გიხსნის და პირიქით, საკუთარი ძალების რწმენას გაძლევს. მერე და მერე სულ სხვანაირად ეთამაშები ნებისმიერ მეტოქეს და უფრო ძლიერის დამარცხების სურვილიც გიჩნდება. ახლა ისე დაემთხვა, რომ თურქეთში გვიწევს თამაში და საკუთარ თავს ვეკითხები, ამათი დამარცხება რატომ არ შეიძლება? ან თანაბარი თამაში მაინც, ისე, რომ არაფერი დავთმოთ.

— თურქეთის ნაკრებთან თამაში ეროვნულ ჩემპიონატში მობურთალე ბისთვის დამატებითი სტიმულიცაა — ფანჯარა ევროპაში...

— თურქებთან თამაში, მგონი, არა მარტო ჩემთვის, არამედ ნაკრების სხვა, გამოცდილი ფეხბურთელებისთვისაც დიდი გამოწვევაა. ეთამაშები ევროპის ერთ-ერთ ძლიერ ნაკრებს და მათ უძლიერეს ფეხბურთელებს. თურქებთან თამაშისას გამოცდილება და კლასს ალბათ ნებისმიერი ფეხბურთელი გაიმდიდრებს და გამონაკლისს არც მე წარმოვადგენ. რაც შეეხება ევროპულ ფანჯარას, ანუ უკეთეს კლუბში გაყიდვის პერსპექტივას, თუ ამაზე ვიფიქრე, თამაში საერთოდ არ გამომივა. ძალიან მინდა მოედანზე გასვლა. თუ დამაყენეს, ყველანაირად ვეცდები, ჩემი საქმე გავაკეთო.

— თურქულ ფეხბურთს თუ იცნობ?

— უშუალოდ მოედანზე არც თურქეთის ნაკრები მინახავს და არც თურქული კლუბის წინააღმდეგ მითამაშია. წლეულს შვეიცარიაში ვნახე „ბეშიქთაშის“ თამაში. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე მართლაც ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავდათ. თუმცა შემდეგ პრობლემები მათაც გაუჩნდათ, ევრო 2004-ზე ვერ მოხვდნენ და ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში ბელარუსებთან შინ დამარცხდნენ. მხოლოდ ამით შემოიფარგლება თურქეთის ნაკრებზე და მათ ფეხბურთზე ჩემი ცოდნა. თუმცა ერთიცაა, ამდენი წარუმატებლობის შემდეგ თურქები შინ გამგელებულები გამოვლენ და პირველივე წუთებიდან შეეცდებიან, თავისი გაიტანონ. მთავარია, არ შევუშინდეთ და ჩვენც მაგრად დავუხვდეთ.

დავით ერაძე

ბათუმიდან ფედერაციაში 800 ლარი მიდის

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახლადშექმნილმა სადისციპლინო კომიტეტმა პირველი სხდომა გამართა და ვერდიქტებიც გამოიტანა. სხდომას ტატო ლასხიშვილი ხელმძღვანელობდა.

ყველაზე ფულიანი განაჩენი „ბათუმს" გამოუტანეს. აჭარული კლუბი 500 ლარით იმად დააჯარიმეს, რომ „თბილისთან" მატჩში კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მსაჯს შეაგინა. „ბათუმი" 100 ლარს კიდევ იმიტომ გადაიხდის, რომ ჟურნალისტებს მატჩის ოქმები არ დაურიგა. „ბათუმს" მეორე ასლარიანი ჯარიმაც სტკიცეს — გუნდის მთავარი მწვრთნელი ამირან გოგიტიძე პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა. მაგრამ ბათუმური ფულგვემა ამით არ მთავრდება — მცველმა ზურაბ ექონიამ მსაჯის გადაწყვეტილება გააპროტესტა და ასლარიანი ჯარიმის გარდა სამმატჩიანი დისკვალიფიკაციითაც დაისაჯა. ამავე მატჩში თბილისელმა თორნიკე აფციაურმა მსაჯს შეაგინა — 100 ლარი და ორი თამაშით „დასვენება".

„დილა"— „ტორპედოს" მატჩში გორელმა გულშემატკივრებმა ქვები ისროლეს და „დილას" 500 ლარის გადახდა მოუწევს. „დილას" ფეხბურთელმა გიორგი ლომიძემ კი მსაჯს უბიძგა, რისთვისაც სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 400 ლარის ჩამოყაჭვა გამოუწერეს.

100 ლარით დაისაჯა „დინამოს" თავკაცი გია გეგუჩაძე — ის „ზესტაფონთან" მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა.

პირველ ლიგაზეც ვთქვათ — ვიტჯორჯიელი გიორგი კვახაძე, ცხინვალელი სერგო ქესანაშვილი და ცხუმელი კობა ნაზღაძე 50-50 ლარს მსაჯების შეკურთხებისთვის ჩამოვლენ.

სტარკოვსის ყივილი

კორღალიძე სპარტაკს ელის, სპარტაკი მენთეშაშვილს

ოთხი თვეა, ლევან კორღალიძეს ბურთზე ფეხი არ დაუკარებია. რიგის „სკონტოს" ქართველი ნახევარმცველი მძიმე ტრავმის შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდს გადის და ტრენაჟორებიდან უკვე მოედანზე გადაინაცვლა, თუმც ჯერაც შეზღუდული რეჟიმით — კორღალიძეს ექიმებმა ოდენ სირბილის ნება დართეს. ლევანიც იმედიანია და დაახლოებით ორ კვირაში სრული დატვირთვით ვარჯიშს გეგმავს. ერთი სიტყვით, გუშინ ჩვენებურს რიგაში დავუკავშირდით და იქაური ამბები გამოვკითხეთ...

— ათი დღეა, სირბილი დავიწყე. ყველაფერი ნორმალურდაა. ჭრილობა ცოტას თავს კი მახსენებს, მაგრამ ექიმები მეუბნებიან, მცირე ხანს ასე იქნება და თანდათან გაგივლისო.

— ესე იგი, გართულებებს გადაურჩი...

— ასეა. ყველა იმედიანადაა და მეც ვგრძნობ, რომ მალე სრული დატვირთვით ვარჯიშს შევძლებ.

— ეს მალე როდის იქნება?

— დაახლოებით ორ კვირაში. ვფიქრობ, ერთ თვეში უკვე ფორმაშიც ვიქნები. მთავარია, ძალები ალვიდგინო და არა მგონია, სათამაშო პრაქტიკა სანერვიულო გამიხდეს.

— ამასობაში მწვრთნელი „გაგექცა"...

— ჰო, ალექსანდრს სტარკოვსმა მოსკოვის „სპარტაკთან" გააფორმა კონტრაქტი და დღე-დღეზე დაგვემშვიდობება. ჯერ აქ არის, ნაკრებს ამზადებს შესარჩევი ეტაპისთვის და თამაშის მერე მოსკოვში გაფრინდება.

— ლატვიელებს რუსები გულზე მაინცდამაინც არ ეხატებათ და ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელის რუსეთში გადაბარგებას როგორ გამოეხმაურნენ? თან, როგორც ვიცი, სტარკოვსი მომავალი წლიდან ნაკრებში მუშაობასაც აღარ აპირებს...

— რა უნდა ეთქვათ, სტარკოვსი რუსია და... ლატვიურად ვერც ლაპარაკობს.

— კი მაგრამ, ლატვიაში ხომ მოქალაქეებს ენის ცოდნას უმოწმებენ და ამ მხრივ განსაკუთრებული კონტროლია...

— სტარკოვსს ეს არ ეხება. უფრო ზუსტად, სტარკოვსია აქ ხელშეუხებელი. თან ისეთი კანონიც არ არის ენის შესახებ, როგორიც გარედან ჩანს, ეს უფრო გაბუქულია.

სტარკოვსი ლატვიის ნაკრებში ყველას რუსულად ელაპარაკება იმიტომ, რომ ფეხბურთელთა უმეტესობაც რუსია.

— გასაგებია. ერთი სიტყვით, სტარკოვსი „სპარტაკში" გადავიდა და ეს სკონტოელი ქართველების შანსიც ხომ არ არის?

— ტრავმა რომ არ მიმელო...

— მაშინ რა მოხდებოდა?

— სტარკოვსმა ადრე მითხრა, კარგი ვარიანტები მაქვს და ხომ წამომყვებიო. ახლა კი ეს გამორიცხულია, უკვე სატრანსფერო ფანჯარაც დაიხურა. ისე, დედურა უკვე გადაიყვანა „სპარტაკში".

— გამოდის, ეს შანსი ხელიდან გაუშვი?

— არა, ჯერ დაკარგული არაფერია. სეზონის ბოლომდე „სკონტოში" ვითამაშებ, ფორმას ალვიდგენ, მერე კი კონტრაქტიც მიმთავრდება და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. „სპარტაკს" ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირს და თუ გადასვლა შემომთავაზეს, დაუფიქრებლად დავთანხმდები. ისე, სტარკოვსი ზურაბ მენთეშაშვილს უკვე ესაუბრა და, შესაძლოა, უახლოეს მომავალში „მენთეშაც" წაიყვანოს.

ბახა შალამბერიძე

geo_geo_fan@hotmail.com

როგორც შეგპირდით, დღეიდან ჩვენი მკითხველის რუბრიკა განახლდება. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას ჩვენ ყოველდღიურად ვაქვეყნებდით თქვენს წერილებს და ის, რომ ევრო 2004 დასრულდა, სულაც არ ნიშნავს, რომ ფეხბურთის მოყვარულებს სალაპარაკო აღარაფერი აქვთ.

ზეგ საქართველოს ნაკრები 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში თურქეთის ნაკრებს ხვდება და, ცხადია, ჩვენი გულისყურიც სწორედ ტრაპიზონული მატჩისკენ არის მიპყრობილი. როგორ ითამაშებს ჩვენი ეროვნული გუნდი, რისი იმედი უნდა გვქონდეს, რისი არ გვქონდეს... ამ საჭირბოროტო საკითხებზე თქვენს მოსაზრებებს ყოველდღიურად ველით.

დღევანდელი ფოსტა უხვი არ არის. ეს ჩვეულებრივი ამბავია, ევროპის ჩემპიონატის დროსაც ასე იყო, თავიდან ცოტა წერილი მოდიოდა, მერე კი მათ კითხვას ვერ ავუდიოდით. ასე რომ, იმედი გვაქვს, არ დაიზარებთ და ამ დღეებში, მატჩამდეც და მატჩის მერეც, თქვენს მოსაზრებებს მოგვწერთ

კარგი რა, გიო!

დღევანდელი მიმოხილვა კი gberidze1987-ის წერილით დავიწყოთ, რომელიც მთლად იმედიანად ვერ არის განწყობილი, მაგრამ საქართველოს ნაკრებისთვის ხაზიც არ გადაუსვამს:

— ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებს ჯგუფში მესამე „საპატიო" ადგილისთვის მოუწევს ბრძოლა. დანია და საბერძნეთი დღესდღეობით უკრაინაზეც და თურქეთზეც ძლიერები არიან. რაც შეეხება ჩვენს პირველ მატჩს, ერთი მხრივ გაგვიმართლა, რადგან თურქეთის ნაკრები აღარ არის ის, რაც ორი წლის წინ იყო. ამიტომ მათთან თამაში შეუძლებელი სულაც არ არის, რაც ლატვიის ნაკრებმა უკვე დაამტკიცა. მაგრამ ჩვენი შემადგენლობაც არ არის ოპტიმალური. ვერ ვხვდები, რატომ არ გამოიძახა ჟირესმა მელქაძე? შეტევაში ხომ ისედაც გვიჭირს და ლევანი ნაკრებს წაადგებოდა. ჩემი აზრით, ან თურქეთი მოიგებს 1:0 ან ფრე იქნება 1:1.

აი, jigaro ძალიან უიმედოდაა და ასეთ პროგნოზს გვთავაზობს:

— გამარჯობა სარბიელო, ჩემთვის ვიანგარიშე და დავითვალე, რომ საქართველოს ნაკრები დიდი-დიდი რვა ან ცხრა ქულას აიღებს. არ გჯერათ? მოდი, ერთად დავითვალოთ. მე მგონია, რომ ჩვენები ორივე თამაშს მარტო ყაზახეთს მოუგებენ. 4-ში თურქებთან წავაგებთ და საერთოდ გასვლას ყველასთან წავაგებთ ყაზახეთის გარდა. მათ შორის ალბანეთთან. ალბანელებს სახლში ალბათ მოვუგებთ, მაგრამ ისიც არ გამიკვირდება, ფრე რომ ვეთამაშოთ. კიდევ მგონია, რომ სახლში თურქეთს ან საბერძნეთს ქულას წავართმევთ. მეტს ვერაფერს ვიზამთ. მოკლედ, ჯგუფიდან ვერ გავალთ.



ერთხელ იყო, რუსს დავეცით და ძალიანაც გავიხარეთ

ამ სუპერპესიმისტური პროგნოზის მერე, რაც, ვაღიაროთ, სუპერარარეალური სულაც არ არის, შოთა რუსთაველის ფრესკა გავიხსენოთ.

vasiko_g გვწერს: თურქებთან ალბათ შანსი არ გვაქვს, მაგრამ ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ თბილისში ბერძნებს დავამარცხებთ. ამის საფუძველს პირველ რიგში ის გარემოება მაძლევს, რომ ევროპის ჩემპიონატის მერე საბერძნეთის ნაკრები ეიფორიაშია და სათანადოდ ვერ შეგვაფასებს. მართალია, ოლიმპიადაზე ბერძნებს სხვა გუნდი ჰყავდათ, მაგრამ ხომ ნახეთ, ვერაფერი შეძლეს. ამასთანავე, ჩვენმა ფეხბურთელებმა ისევე უნდა მოინდომონ, როგორც რუსებთან. ის მატჩი ხომ მხოლოდ ფეხბურთი არ იყო. ასე იქნება ბერძნებთანაც — რუსთაველის ფრესკის განადგურებისთვის სამაგიერო ფეხბურთში მაინც გადავუხადოთ. გმადლობთ.

თურქი რომ წაუქცეველი არ არის, ლატვიელებმა უკვე დაამტკიცეს

დღეისთვის კიდევ ერთი წერილი გვაქვს, რომელსაც სანიმუშოდ ვაქვეყნებთ — როგორი წერილები არ გვინდა მოგვწეროთ.

gio_gio121: რაც გინდა თქვით, საქართველოს ნაკრებს ყოველთვის ვუგულშემატკივრებ და დარწმუნებული ვარ, ტრაბზონში მოიგებს.

ის, რომ გიო საქართველოს ნაკრებს გულშემატკივრობს, ჩვეულებრივი ამბავია და, ცხადია, ეგრეც უნდა იყოს. უბრალოდ, ერთი თხოვნა გვაქვს — თქვენი პროგნოზი დაასაბუთეთ. ჩვენ ყველას გვინდა, რომ საქართველოს ნაკრებმა მოიგოს, მაგრამ საქმიანი მსჯელობა რომ გამოგვივიდეს, სჯობს, ჩვენი ნაკრების ძლიერ და სუსტ მხარეებზე ვისაუბროთ.

WEB ოსტატი ბუარა

geo_geo_fan@hotmail.com

რუნის მღელვარე საღამო

მანჩესტერი გაბრწყინდება: უეინმა ფერგიუსონს მომავალი დაანახა

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ გააფორმა კონტრაქტი უეინ რუნისთან და ჯამში „ევერტონიდან“ მისი გადაყვანა 27 მილიონი გირვანქა დაუჯდა.





უეინმა შემორიგებულ საცოლე კოლინთან და ალექს ფერგიუსონთან ერთად „ოლდ ტრეფორდზე“ გაისეირნა

შეთანხმებით „იუნაიტედი“ 20 მილიონს გარანტირებულად გადაუხდის „ევერტონს“, შვიდი მილიონი კი იმის მიხედვით მიეცემა ლივერპულურ კლუბს, თუ რამდენ ხანს და რა სიხშირით ითამაშებს ბიჭი „მანჩესტერში“. 10 მილიონი დაუყოვნებლივ გადაირიცხება, 10 კი 2005 წლის 1 აგვისტოს. მაგალითად, 3 მილიონი 2007 წელს გაიცემა, თუკი რუნი კვლავაც „მანჩესტერის“ მოთამაშე იქნება. თავად რუნიმ კი ექვსწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ანუ 2010 წლის 30 ივნისამდე.

რუნისთან მოთანამშრომლე საგენტო „პროექტივ სპორტს მენეჯმენტი“, რომელმაც დიდად იღვაწა ამ საქმის გასაჩარხავად, 1,5 მილიონ გირვანქას მიიღებს. 1,35 მილიონით პრემიერლიგაც გამდიდრდება. თავად რუნის ხელფასი კვირაში 50 ათასი იქნება. ფეხბურთელი ამბობს, რომ აღელვებულია ასეთ დიდ კლუბში მოხვედრით და რომ ეს ძალიან წაადგება მის კარიერას. აღელვებული და აღტაცებულია სერ ალექს ფერგიუსონიც, რომელიც აცხადებს, რომ რუნის მოსვლით მის გუნდს 1999 წლის სიძლიერე დაუბრუნდება.

თუმცა, ვარსკვლავი ჯერჯერობით ვერ ითამაშებს, მას ვარჯიშიც კი არ დაუწყია ევრო 2004-ზე მიღებული ტრავმის შემდეგ. ამის მიუხედავად, სერ ალექსი მას ბოლო 30 წლის მანძილზე საუკეთესო ახალგაზრდა ინგლისელ ფეხბურთელს უწოდებს.

და ბოლოს, რუნი „მანჩესტერში“ მერვე ნომერი იქნება. ნიკი ბათის ძველი მაისურა ამერიდან მის ხელშია.

ირაკლი გამყრელიძე

იორკი სუნესს ბირმინგემში გაექცა

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი საათით ადრე დუაიტ იორკი „ბლექბერნიდან“ „ბირმინგემში“ გადავიდა. ტრინიდად-ტობაგოელ ფორვარდს გლაზგოს „სელტიკიც“ ეპატიჟებოდა, მაგრამ მან პრემიერლიგაში დარჩენა ისურვა.

გასული სეზონის ბოლოს დუაიტ იორკსა და „ბლექბერნის“ მწვრთნელ გრემ სუნესს შორის უთანხმოება მოხდა. სუნესმა მას სათადარიგოთა სკამი „გამოუწერა“, ხოლო ახალდაწყებულ პრემიერლიგაში ძირითად შემადგენლობაში პოლ დიკოვი და ჯონ სტიდი გაამწესა. იორკმაც „ბლექბერნის“ დატოვება გადაწყვიტა.

„მე ვისარგებლე ამ შემთხვევით და კარიერის გაგრძელება ინგლისში ვარჩიე. აღფრთოვანებული ვარ „ბირმინგემის“ მწვრთნელ სტივ ბრიუსის პროფესიონალიზმით. მან შესანიშნავი გუნდი შეკრა და, დარწმუნებული ვარ, შარშანდელზე უკეთეს ადგილს დავიკავებთ“ — თქვა ფეხბურთელმა.

დუაიტ იორკი 1989 წლიდან „ასტონ ვილაში“ თამაშობდა, 1998-ში კი 12 მილიონ გირვანქად „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა, სადაც ოთხი სეზონი გაატარა და ჩემპიონთა თასიც მოიგო. „მანჩესტერმა“ იგი „ბლექბერნს“ შარშან 2 მილიონ ევროდ მიჰყიდა.

ვაჟა ხუციშვილი

ვესტ ბრომვიჩმა გაასამა

ინამოტო საავადმყოფოში იყიდეს

პრემიერლიგის დებიუტანტ „ვესტ ბრომვიჩს“, რომელსაც ამ სეზონში თამაში არ მოუგია, აშკარად გაძლიერება სჭირდებოდა და ამიტომ სამი ფეხბურთელი გადაიბირა: უელსელი ფორვარდი რობი ერნშოუ „კარდიფ სიტიდან“, იუნიჩი ინამოტო „ფულემიდან“ და რუმინელი კოზმინ კონტრა მადრიდის „ატლეტიკოდან“.

უელსელი კლუბისთვის სარეკორდო თანხად, 3 მილიონ გირვანქად შეიძინეს. ინამოტოს ორწლინახევრიანი კონტრაქტი გაუფორმეს, ხოლო კონტრა მადრიდელთაგან ერთი სეზონით ითხოვეს.

აღსანიშნავია, რომ იაპონელი ნახევარმცველი ივნისში ინგლისთან გამართულ ამხანაგურ მატჩში დაშავდა და ჯერ ბოლომდე არ მომჯობინებულა, მაგრამ „ვესტ ბრომვიჩის“ მწვრთნელმა გარი მეგსონმა თქვა: „მთავარია, რომ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე მისი გადმოყვანა მოვასწარით. გამოკეთდება და მჯერა, კვლავ უმაღლეს დონეზე ითამაშებს“.

რაც შეეხება კოზმინ კონტრას, რომელიც „ატლეტიკოში“ 2002 წელს „მილანიდან“ გადავიდა, შარშან ტრავმები სტანჯავდა, რის გამოც სეზონის უმეტესი ნაწილი გაუცდა, ახლა კი ფორმაშია.

ვაჟა ხუციშვილი

ინგლისი

ჩემპიონატი. VI ტური

რედინგი 1:0 სანდერლენდი

ძუინზ პარკი 0:1 შეფილდი

უიგანი	6	4	2	0	12:4	14
სტოკი	6	4	2	0	7:2	14
იფსვიჩი	6	4	1	1	12:7	13
პლიმუთი	6	4	1	1	9:6	13
რედინგი	6	4	0	2	6:4	12
შეფილდი	6	3	2	1	5:2	11
ქოვენთრი	6	3	1	2	10:6	10
მილუოლი	5	3	1	1	4:2	10
ვესტ ჰემი	6	3	1	2	7:7	10
უოტფორდი	5	3	0	2	8:4	9
ჯილინგემი	6	3	0	3	7:8	9
პრესტონი	6	2	1	3	7:7	7
ბრაიტონი	6	2	1	3	5:9	7
ბარნლი	6	1	3	2	4:5	6
დერბი	6	2	0	4	8:10	6
ქრიუ	5	1	2	2	11:12	5
სანდერლენდი	6	1	2	3	7:9	5
ლიდსი	5	1	2	2	3:5	5
ლესტერი	6	1	2	3	3:6	5
ქუინზ პარკი	6	1	2	3	4:9	5
ვულვზი	6	0	4	2	6:8	4
ნოტინგემი	6	0	4	2	8:12	4
კარდიფი	6	1	1	4	6:10	4
როტერჰემი	6	0	3	3	2:7	3

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ზლატანის ოქროს სიტყვები

ზლატან იბრაჰიმოვიჩი ამბობს, რომ როგორც კი „იუვენტუსმა“ მისი შეძენის სურვილი გამოთქვა, ეჭვი არ შეპარვია, რომ თანხმობა უნდა განეცხადებინა. მოგეხსენებათ, შვედეთის ნაკრების თავდამსხმელმა „აიაქსიდან“ „იუვენტუსში“ გადასვლის დოკუმენტს ხელი სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს მოაწერა და ეს საქმე ტურინელებს დაახლოებით 19 მილიონი ევრო დაუჯდათ

„იმ ვარიანტებიდან, რომლებიც მქონდა, საუკეთესო აშკარად „იუვენტუსი“ იყო. ტურინში ჩემს გვერდით ისეთი ფეხბურთელები ითამაშებენ, რომელთა ბადალი იტალიის ჩემპიონატში არ არის. ასეთი დონის კლუბი ჩემს ოსტატობას მხოლოდ და მხოლოდ დახვეწს და მეც უკეთესი ფეხბურთელი გავხდები, ვიდრე ახლა ვარ“ — განაცხადა 23 წლის იბრაჰიმოვიჩმა, რომელზეც, სხვათა შორის, ბევრი ამბობს, რომ „ბებერი ქალბატონის“ ფორვარდის, ფრანგი დავიდ ტრეზეგეს გვერდით ვერ ითამაშებს.

„დიახ, ჩვენ განსხვავებული სტილის მოთამაშეები ვართ — ამბობს „შავ-თეთრების“ ახალი ბიჭი — ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლეა, მე კი მისგან განსხვავებული თვისებები მივარგა. დიდი სიამოვნებით ვითამაშებ ტრეზეგეს მხარდამხარ“.

როგორც ჩანს, იბრაჰიმოვიჩის ყიდვა „იუვენტუსის“ ახალი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს დაჟინებული თხოვნაც იყო. ცნობილია, რომ შვედის შეძენა მას ჯერ კიდევ მაშინ უნდოდა, როდესაც „რომას“ ედგა სათავეში.

„კაპელო საუკეთესო მწვრთნელია — დასძინა ზლატანმა — ის ყოველთვის მაფასებდა და მეც ბედნიერი ვარ, მის განკარგულებაში რომ გადავდივარ“.

პაპუნა ძედია

მიკოლი იეჭში გაუჩინარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაბრიციო მიკოლი „ფიორენტინას“ მოთამაშე გახდა. სატრანსფერო პერიოდის ბოლო წამს „იუვენტუსმა“ და სერია A-ში დაბრუნებულმა, გვარიანად ნატანჯმა ფლორენციელებმა თავდამსხმელის სანახევროდ ფლობის დოკუმენტს მოაწერეს ხელი.

მიკოლის „ფიორენტინაში“ გადასვლა „აიაქსიდან“ „იუვეში“ ზლატან იბრაჰიმოვიჩის მისვლამ გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ფორვარდის შეძენა მისი მშობლიური ქალაქის გუნდს, „ლეჩესაც“ უნდოდა და ფლორენციელთა განაცხადის გვერდით „იუვენტუსის“ ოფისში ლეჩელების ოფიციალური დოკუმენტიც იდო, მაგრამ ფეხბურთელმა „სტადიო არტემიო ფრანკის“ მიანიჭა უპირატესობა. როგორც ამბობენ, როგორც კი მიკოლიმ შეიტყო, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ იბრაჰიმოვიჩის ხელმოწერა დაიბევა, თავად შევიდა შეფებთან და გაშვება სთხოვა. ოფიციალური ცნობა არ გვაქვს, მაგრამ ამბობენ, რომ „ფიორენტინამ“ „იუვენტუსს“ 5,5 მილიონი ევრო გადაუხადა.

„ეს ფლორენციელ ხალხს საჩუქრად, — განაცხადა „იების“ ვიცე-პრეზიდენტმა ანდრეა დელ ვალემ — ჩვენი სატრანსფერო კამპანიისთვის სრულყოფილი სახის მისაცემად ასეთი დანახარჯილა იყო საჭირო“.

პაპუნა ძედია

პიპოს კოჭიც მორჩა

ფილიპო ინძაგი დღეს ვარჯიშს შეუდგება — კოჭის მკურნალობის მორიგი ეტაპი დასრულებულია.

„ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ თამაშს. აქამდე ექიმების ხელში ვიყავი, მაგრამ ახლა იმედი მაქვს, რომ პრობლემები ზურგსუკან მოვიტოვე“ — განაცხადა ფორვარდმა, რომელიც თითქმის წელიწადია, ტრავმებს გაწვალებული ჰყავს და მის გამო ევროპის ჩემპიონატიც კი გამოტოვა.

შეგახსენებთ, რომ ინძაგიმ ოპერაცია აპრილში გაიკეთა, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, ქირურგიას მთლად წარმატებული შედეგი არ მოუტანია და ბოლო ექვსი კვირა, წარსულში „იუვენტუსის“, ახლა კი „მილანის“ თავდამსხმელმა უქმად გაატარა.

„ძალიან ბევრი ვიწვალე — დასძინა ინძაგიმ — ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს, ხოლო ჩემი ოცნება ამ გუნდში მნიშვნელოვანი როლის თამაში და რაც შეიძლება მეტი ჯილდოს მოგებაა. ყველაზე მეტად ჩემპიონთა თასის მოპოვება მსურს“.

ვინაიდან ინძაგი ვარჯიშს მხოლოდ ახლა იწყებს, მოსალოდნელია, რომ სეზონის დასაწყისს კარგ ფორმაში ვერ შეხვდება, მაგრამ სადღაც სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის დასაწყისისთვის მისი შავ-წითელი ფორმით გამოჩენა სრულიად მოსალოდნელია.

პაპუნა ძედია

რომამ მიდო, პარმამ მაკარონე

ეგვიპტელმა თავდამსხმელმა მიდომ „რომასთან“ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იმავდროულად, „პარმამ“ მასიმო მაკარონე შეიძინა

მიდოს სრული სახელია ჰოსამ ჰუსეინ აბდელჰამიდ აჰმედი. ის იტალიის დედაქალაქში მოსალაპარაკებლად სამშაბათ შუადღისას თავად ჩავიდა და საღამოსთვის „რომამ“ გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც, „მარსელი“ მიიღებს 7,5 მილიონ დოლარს, თუმცა ამ თანხიდან დაუყოვნებლივ, ფრანგული კლუბის ანგარიშზე 2,4 მილიონი გადაირიცხება.

მიდო 23 წლისაა. მისი ყოველწლიური კონტრაქტი 2,2 მილიონი დოლარი იქნება და ეს ხუთი წლის განმავლობაში გაგრძელდება. ბუნებრივია, ხსენებულ თანხაში არ შედის პრემიები.

„პარმამ“ კი ოფიციალურად დაადასტურა, რომ ინგლისური „მიდლსბროსგან“ ზემოხსენებული მაკარონე შეიძინა. მოლაპარაკებები ორ კლუბს შორის რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და ბოლო წამს კინაღამ ჩაიშალა.

საბოლოოდ კონტრაქტს ხელი ინგლისის დროით საღამოს 6 საათამდე ანუ სატრანსფერო პერიოდის დახურვამდე მოეწერა და 24 წლის ფეხბურთელი სერია A-ში წავიდა. ამბობდნენ, რომ „ემპოლიში“ ნათამაშევი ფორვარდი „ლაციოს“ მიჰყავდა, მაგრამ რომაელებს პარმელებმა აჯობეს.

პაპუნა ძედია

ფიოლერმა რომა გარისკა



„რომამ“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გუნდის ახალი მწვრთნელი მისი ყოფილი ფეხბურთელი რუდი ფიოლერია. მას მერე, რაც ჩეზარე პრანდელიმ მეუღლის ავადმყოფობის გამო სამსახურის გაგრძელებაზე უარი თქვა, ფიოლერი კლუბის ფავორიტად იქცა. ახლა გერმანელი „რომასთან“ ერთწლიანი კონტრაქტით არის შეკრული. ამ ხანში იგი თითქმის ოთხ მილიონ დოლარს მიიღებს, რასაც, ბუნებრივია, მიღწევების მიხედვით გამოწერილი პრემიები დაემატება. ფიოლერის ასისტენტი იქნება ეძიო სელა, რომლის ხელმძღვანელობით „რომამ“ კვირას, ამხანაგურ შეხვედრაში ირანს 5:3 მოუგო.

„რომა“ და იტალია სამუდამოდ ჩემს გულში არიან — განაცხადა ფიოლერმა, რომელიც „რომას“ მაისურით 1987-92 წლებში თამაშობდა — ჩემი ახლანდელი გადაწყვეტილებაც უფრო ემოციითაა ნაკარნახევი, ვიდრე ცივი გონებით, მაგრამ ვიცი, „რომას“ მწვრთნელად მუშაობა უნიკალურ გამოცდილებას შემძენს. იმედი მაქვს, რომ საუკეთესო შედეგებს მივაღწევთ“.

შემდეგ გერმანელმა პრანდელის წინაშე მოიხარა ქედი: „იგი საშინელმა სიტუაციამ დაჩაგრა და მინდა რაც შეიძლება პროფესიულად შევცვალო. შემეძლო „ლევერკუზენში“ დირექტორის ნაკლებად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დავრჩენილიყავი, მაგრამ „რომასთან“ რისკი მიჯობს“.

პაპუნა ძედია



ძალიან ინგლისური ამბავი

ლაივ ვუდვორდი რაგბის ეთხოვება და ფეხბურთში მიდის

„საუთჰემპტონის“ თავმჯდომარემ, რუპერტ ლოუმ განაცხადა, რომ ინგლისის სარაგბო ნაკრების მწვრთნელი, სერ კლაივ ვუდვორდი, ალბათ მისი საფეხბურთო კლუბის საქმიანობაში ჩაებმევა.

თუ რა სახისა იქნება ეს საქმიანობა, კვირის ბოლომდე გაირკვევა.

„სერ კლაივი დაინტერესდა ფეხბურთით, ჩვენი აკადემიისა და კლუბის ცხოვრებაში გაერკვა“ — უთხრა ლოუმ „ტაიმსს“.

ამბობენ, რომ ვუდვორდი, ვინც ინგლისს რაგბის მსოფლიოს თასი მოაპოვებინა, მალე გადადგება ნაკრების მწვრთნელობიდან, სადაც კონტრაქტით მომავალ მსოფლიოს თასამდე შეუძლია ყოფნა, მაგრამ ასევე შეუძლია, რომ ერთი წლით ადრე შეატყობინოს რაგბის კავშირს გადადგომის შესახებ.

„მისი მოტივაციის გასაგებად უნდა ვიცოდეთ, რომ თუ კაცი რაღაც საქმეში ძალიან მაგარი, დიადი შეიქნება, მას საკუთარი თავის გამოცდა მოუნდება ხოლმე. თუ სერ კლაივს ამაში დავეხმარებით, გაგვეხარდება“ — თქვა ლოუმ.

ინგლისში კი სულ უფრო დაჯერებულად აცხადებენ, რომ რაგბის დიადი მწვრთნელი ფეხბურთში მიდის. თანაც „საუთჰემპტონს“ ერთი კვირაა, დროებითი მწვრთნელი ჰყავს, ლოუმ პოლ სტაროკი ცუდი სტარტისთვის გადააყენა.

ირაკლი გამყრელიძე

პორტუს ფაბულუსი

ჩემპიონთა თასის მფლობელმა „პორტუმ“ „სან პაულუს“ ფორვარდი ლუის ფაბიანო შეიძინა. პორტუგალიურმა კლუბმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიელთან, რომელსაც 12 სანაკრებო მატჩში 6 გოლი გაუტანია. 23 წლის ლუის ფაბიანომ (მეტსახელად „ფაბულუს“) გასულ სეზონში „სან პაულუს“ მაისურით 34 შეხვედრაში 29-ჯერ შეაგდო. „ფაბულუსი“ ლიბერტადორესის თასის საამსეზონო გათამაშების ბომბარდირი გახდა რვა გოლით, ხოლო „სან პაულუ“ ნახევარფინალში გავიდა.

ბრაზილიელი ფორვარდი უხეშობითაც გამოირჩევა. შარშან სამჯერ გააძევეს, წლეულს კი მხოლოდ ერთი წითელი ბარათის მიღება მოასწრო. ლუის ფაბიანო ამ სეზონში მუდმივად თამაშობს ეროვნულ ნაკრებში. კარლოს ალბერტო პარეირამ მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვისაც გამოიძახა და „კოპა ამერიკაზეც“ წაიყვანა. „ფაბულუსს“ „პორტუში“ დიეგო დახვდა, რომელიც ევროპულ გუნდში აგვისტოს დასაწყისში „სანტოსიდან“ 7 მილიონ ევროდ გადაბარგდა. შეგახსენებთ, რომ დიეგოსაც ხუთწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული.

ამ ორი ფეხბურთელის გარდა, „პორტუმ“ ბერძენი იურკას სეიტარიდისი, ბრაზილიელი პეპე, რიკარდო კვარესმა და ელდერ პოსტიგა შეიძინა. გუნდიდან ჟოზე მაურინიუ, რიკარდო კარვალიუ, პაულუ ფერეირა და დეკუ წავიდნენ, გუშინ კი ედგარას იანკაუსკასი „ნიცაში“ ერთი წლით გაანთხოვრეს.

ვაჟა ხუციშვილი

ვილტორდი თოფიდან ლიონში გაფრინდა



სილვენ ვილტორდი ლონდონის „არსენალიდან“ საფრანგეთის ჩემპიონ „ლიონში“ გადაბარგდა. ყოფილმა „მეთოფემ“ ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა შემდგომში ერთი წლით გაგრძელების უფლებით. 30 წლის ფორვარდმა „არსენალში“ ოთხი სეზონი გაატარა, ბოლოს კი ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და არსენ ვენგერს ამიტომაც გაშორდა. ვილტორდი ლონდონს ორი თვის წინ გაეცალა და ფორმის შესანარჩუნებლად „რენთან“ ერთად ვარჯიშობდა. „მე ესპანეთში გადასვლა მინდოდა. ეს ვერ მოვახერხე, მაგრამ მოხარული ვარ, რომ „ლიონში“ აღმოვჩნდი. ყოველთვის იმ გუნდში მსურდა თამაში, რომელიც ჯილდოებისთვის იბრძვის. „ლიონს“ ზედიზედ მეოთხედ გაჩემპიონებაც ძალუძს და ჩემპიონთა ლიგაშიც უფრო შორს წავა, ვიდრე შარშან. პოლ ლე გუენმა დამარწმუნა, რომ მას ვჭირდები, ამიტომაც ვარჩიე აქ ჩამოსვლა, თან, ინგლისისგან განსხვავებით, სამშობლოში ცხოვრება გამიიოლდება“ — თქვა ფრანგმა ფორვარდმა.

სილვენ ვილტორდის კარიერა „რენში“ დაიწყო, საიდანაც „ბორდოში“ გადავიდა. „ბორდოს“ შემადგენლობაში 1999 წელს ქვეყნის ჩემპიონი და საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მერე კი ვენგერმა „არსენალში“ წაიყვანა. მისი სანაკრებო დებიუტი 1999-ში, ინგლისთან მატჩში შედგა. ვილტორდმა ეროვნული გუნდის მაისურით 65 მატჩში 22 გოლი გაიტანა.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუკასთან

ესპანურმა „მალიორკამ“ „სოსიედადიდან“ ერთი წლით სანდერ ვესტერფელდი ინათხოვრა. უკვე სამი სეზონია, რაც 29 წლის ჰოლანდიელი ესპანეთში „ლივერპულიდან“ გადაბარგდა. იგი საკმაოდ საიმედოდ იცავდა „სოსიედადის“ კარს და კლუბის ამ გადაწყვეტილებამ ქომაგები ცოტათი გააკვირვა კიდეც. ახლა ბასკები ორი მეკარის — ლოპეს ალბერტოსა და ასიერ რიესკოს ამარა დარჩნენ.

ბრაზილიელი თავდამსხმელი აილტონი 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციითა და 15 ათასი ევროთი დაისაჯა. შეგახსენებთ, რომ ბუნდესლიგის გასულ ტურში მან „ჰანზას“ ნახევარმცველ იოაკიმ პერსონს რამდენჯერმე განგებ ჩაარტყა. გარდა ამისა, გერმანიის საფეხბურთო საბჭო აილტონს დოპინგთან ბრძოლაში პასიურობას და დაკისრებული მოვალეობის არადამაკმაყოფილებლად შესრულებას აბრალებს. რაში გამოიხატება ეს, ჯერჯერობით არ კონკრეტდება.

უკრაინული „შახტარი“ დონეცკში ახალი სტადიონის აშენებას გეგმავს. კლუბის უფროსობამ უკვე მოაწყო პროექტის პრეზენტაცია. „შახტარის“ პრეზიდენტი რინატ ახმეტოვი თავდაპირველად ქომაგებს 33-ათასიან მოედანს ჰპირდებოდა, ახლა კი ირკვევა, რომ ახალი სტადიონი 50 ათას გულშემატკივარს დაიტევს, ხოლო ეს ყველაფერი კლუბს 100 მილიონი დოლარის ნაცვლად 200 მილიონი დაუჯდება.

რუსულმა „ლოკომოტივმა“ 23 წლის სერბ ფორვარდ მილან იოვანოვიჩთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ამ უკანასკნელმა გასული სეზონი ულიმლამოდ ჩაატარა დონეცკის „შახტარში“, იქამდე კი მშობლიური „ვოივოდინას“ ღირსებას იცავდა, ტრანსფერის ფინანსური მხარე ჯერჯერობით არ ხმაურდება.

საბერძნეთის ნაკრები ევრო 2004-ის მოგებისთვის ქვეყნის ხელისუფალთა გადაწყვეტილებით 4 მილიონ ევროს მიიღებს. ეს თანხა თანაბრად განაწილდება ყველა ფეხბურთელზე, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა. საინტერესოა, რომ ტურნირის დაწყებამდე საბერძნეთის მმართველები ნაკრებს 2 მილიონ ევროს ჰპირდებოდნენ ნახევარფინალში გასვლისთვის.

საფრანგეთის ჩემპიონატში პირველი ლიტველი ფეხბურთელი გამოჩნდება. პორტუგალიურმა „პორტუმ“ 29 წლის ფორვარდი ედგარას იანკაუსკასი ერთი წლით „ნიცაში“ გაანათხოვრა. „დრაკონებმა“ ამ ზაფხულს ორი თავდამსხმელი — ელდერ პოსტიგა და რიკარდუ კვარესმა დაიმატა, რამაც იანკაუსკასს გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის იმედი საბოლოოდ გადაუწურა.

იტალიურმა „უდინეზემ“ „ემპოლიდან“ 26 წლის ფორვარდი ანტონიო დი ნატალე გადაიბირა. ფეხბურთელმა გასული სეზონი საკმაოდ კარგად ჩაატარა და ეროვნული ნაკრებშიც მიიწვიეს. გარდა ამისა, „ფრიულის“ ბინადრებმა კიდევ ორი მოთამაშე, იტალიელი მანუელე ბელერი და ბრაზილიელი ემილსონ კრიბარი დაიმატეს.

საქმე ლონდონში, არდადეგები ესპანეთში

რეიესის პასუხი რეალს ასცდა



ლონდონის „არსენალის“ სამხრეთელი ვარსკვლავი ხოსე ანტონიო რეიესი „ჰაიბერიზე“ თავს შესანიშნავად გრძნობს და რომელიმე ესპანური გრანდის შემადგენლობაში ჩარიცხვას არ ჩქარობს. ხოსე სამშობლოს, როგორც თავად თქვა, ოდენ არდადეგების დროს თუ მოინახულებს, ხოლო მადრიდული „ასის“ ჟურნალისტს კითხვაზე — ნუთუ მადრიდის „რეალშიც“ არ ისურვებთ თამაშსო, ორჭოფულად პასუხობს.

— ალბიონზე რვათვიანი ბურთაობის შემდეგ ახალ კლუბსა და ლონდონს როგორ დაახასიათებდით?

— როგორც „არსენალში“ თამაშით, ისევე ლონდონში ცხოვრებით, ძალიან კმაყოფილი ვარ. აქ საუკეთესო პირობები მაქვს წარმატების მისაღწევად.

— ახლა თქვენს გარეშე ესპანეთის ნაკრებიც ძნელი წარმოსადგენია...

— ვერაფერს გეტყვით, ეს მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს. ჩემი აზრით, დღეს ადრინდელზე უკეთესად ვთამაშობ, თუმცა ძირითადში რეიესის ყოფნა მხოლოდ ლუის არაგონესზეა დამოკიდებული.

— სევილიური „სანჩეს პისხუანის“ მერე „ჰაიბერისთან“ შეჩვევა არ გაგიჭირდათ?

— ინგლისში ძალიან კარგად დამხვდნენ. აქაური გულშემატკივრობაც თითქმის იგივეა, როგორც სევილიური, ოღონდ ერთი განსხვავებით — „ჰაიბერიზე“ ფანები ტრიბუნაზე ზედ მოედანთან ახლოს ორიოდ მეტრში სხედან და თავიანთი სიახლოვით უფრო გვამხნევებენ. ლონდონელთა წყალობით უცხო სტადიონზე გადასვლა არც მიგრძვნია.

— თქვენს თანაგუნდელებზე რას გვეტყვით?

— ერთმანეთს მალე გავუგეთ. განსაკუთრებით ფრანგებს — ვიეირასა და ანრის დავუახლოვდი. პატრიკს ჩინებული იუმორის გრძნობა აქვს — „რეალთან“ იმ უსაშველო ტრანსფერის შესახებ ერთად ბევრს ვიცინოდით. ანრი უფრო სერიოზულია, თან შესანიშნავი პიროვნება. კარგია, რომ ისინი ჩემი მეგობრები არიან.

— ესპანეთზე ვისაუბროთ. ბოლო პერიოდში, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, რაულს სანაკრებო დონეზე სუსტ თამაშს საყვედურობდნენ. თქვენ თუ ეთანხმებით ამ კრიტიკას?

— არავითარ შემთხვევაში. როცა ფეხბურთელს ესპანეთში საქმეები კარგად მისდის, ის თითქმის ღმერთის დონეზე აჰყავთ, მცირედი შეცდომის მერე კი საშინლად გალანძღავენ ხოლმე. სისულელე იქნება, რაულს ამდენწლიანი კარიერა რაღაც უზუსტობების გამო წყალში ჩავუყაროთ. საკლუბო მასშტაბითაც „რეალის“ კაპიტანს უფრო ძლიერად ვთვლი, ვიდრე მაგალითად, მაიკლ ოუენს.

— სამშობლოში როდის დაბრუნდებით?

— არდადეგების დროს. სხვაგვარ დაბრუნებაზე არც ვფიქრობ — ჩემთვის დღეს „არსენალი“ პრიმერადივიზიონის ყველა კლუბზე უკეთესია. ამ გუნდში თამაში შესანიშნავად მიმდის, ხალხსაც ვუყვარვარ. ამიტომაც ახლა ესპანეთში ჩამოსვლა ხოსე ანტონიო რეიესის გეგმებში არ შედის.

— მადრიდის „რეალმაც“ რომ დაგიძახოთ, პრიმერაში ბურთაობას მაშინაც არ ისურვებთ?

— ამ კითხვაზე მხოლოდ მადრიდელების სატრანსფერო შემოთავაზების მერე გიპასუხებთ.



სავიოლამ მორიენტესი დუელში გამოიწვია

არგენტინელი ხავიერ სავიოლა ფერნანდო მორიენტესს დუელში იწვევს. საქმე ის გახლავთ, რომ არგენტინელი ბაჭია ახლა დიდიე დეშანის „მონაკოს“ ფეხბურთელია და მომავალი ერთი სეზონის განმავლობაშიც იქაურთა სათაყვანებელი „ელ მოროს“ რეკორდის გაუმჯობესებას აპირებს. გავიხსენოთ, რომ წინა სეზონში მორიენტესმა ფრანგთა სამთავროს მთავარ გუნდს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია. მისი უხვგოლიანობის წყალობით დეშანის ბიჭებს გასული ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე დამარცხების სიმწარე არ უგემიათ. „ფერნანდომ „ლუი მეორეზე“ დიდებულად ითამაშა, მე კი ვეცდები, „მონაკოში“ ჩემი საქმიანობა მორიენტესზე შედეგიანი გამოდგეს“ — განუცხადა სავიოლამ ესპანურ „ლიბრედირექტოს“.

ოკეანისგაღმელმა მოიერიშემ „მონაკოს“ ოლიმპიური ოქროთი ხელდამშვენებულმა მიაკითხა. სავიოლას ფრანგულ კლუბში წარმატება და „ბარსელონაში“ სახელიანად მიბრუნება ერთნაირად უნდა. „კამპ ნოუზე“ უფერული დაბრუნება არ მსურს, ამას კი მხოლოდ „მონაკოში“ კარგი თამაშით თუ ავიცილებ თავიდან. ფრანგი გულშემატკივარი დარწმუნდება, რომ ყოფილი პრიმერადივიზიონელებიდან მათი გახარება მარტო ფერნანდო მორიენტესს როდი შეუძლია“ — თქვა ხავიერ სავიოლამ.

ლადო ხომერიკი

რატომ გაგიკვირდათ?

ვიეირამ არსენალში ცხოვრება მოიწყო



„არსენალის“ ფრანგმა ნახევარმცველმა პატრიკ ვიეირამ ბრიტანულ მედიასთან შეხვედრისას აღიარა, რომ მადრიდის „რეალთან“ სატრანსფერო გარიგების ჩაშლით კმაყოფილია.

„არსენალში“ გავაგრძელე კარიერა და, ჩემი აზრით, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, ჩავთვალე, რომ ჩემი დღევანდელი კლუბი ფლორენტინო პერესის „რეალს“ არაფრით ჩამოუვარდება. საამსეზონოდ დიდი მიზნები გვაქვს და იმედია, პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაშიც წარმატებით ვითამაშებთ“ — ამბობს „მეთოფეთა“ კაპიტანი.

პატრიკს მშვენივრად ესმის, რომ მისმა უარმა ბევრი გულშემატკივარი გააკვირვა, „რეალთან“ კონტრაქტი ხომ თითქმის გადაწყვეტილი საქმე გახლდათ. მიუხედავად ამისა, ვიეირას შეცბუნების ან პესიმიზმის არაფერი ეტყობა. „მართალია, ხალხი მადრიდელად მთვლიდა, მაგრამ ესპანეთში გადასვლის შემთხვევაში ცხოვრების წესი ერთიანად უნდა შემეცვალა, სხვა გუნდში და თუნდაც „რეალში“ თამაში კი ამ რისკად არ ღირს. „არსენალშიც“ მშვენივრად ვგრძნობ თავს“ — დასძინა „ჰაიბერის“ ტიტულიანმა მობურთალმა.

ლადო ხომერიკი

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ინგლისი. I ლიგა. VII ტური								
4 სექტემბერი								
18.00	129	ბრედფორდი-პორტ ვეილი	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
18.00	130	ბრენტფორდი-ბორნმუთი	1,95	3,2	3,4	1,21	1,23	1,64
18.00	131	ჩესტერფილდი-დონსი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
18.00	132	კოლჩესტერი-სუინდონი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
18.00	133	დონკასტერი-უოლსოლი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
18.00	134	ჰარტლპული-ბარნლსი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	135	პიტერბრო-ბრისტოლი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
18.00	136	უენსდი-ლუტონი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
18.00	137	სტოკპორტი-ტორკი	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
5 სექტემბერი								
15.00	138	ჰადერსფილდი-ჰალი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
ინგლისი. II ლიგა. VII ტური								
3 სექტემბერი								
22.45	155	უიკომბი-ოქსფორდი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
4 სექტემბერი								
18.00	156	ბოსტონი-კემბრიჯი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
18.00	157	როვერსი-შრიუსბერი	1,55	3,4	5,6	1,06	1,21	2,11
18.00	158	ბერი-ლინკოლნი	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
18.00	159	ჩესტერი-მაკლსფილდი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
18.00	160	დარლინგტონი-სკანთორპი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
18.00	161	გრიმსბი-როჩდეილი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
18.00	162	კიდერმინსტერი-ლეიტონი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
18.00	163	ნოტსი-ჩელტენემი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	164	რაშდენი-საუთენდი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
18.00	165	იოვილი-სუონსი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
5 სექტემბერი								
18.00	166	მენსფილდი-ნორთჰემპტონი	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
ინგლისი. კონფერენსი. VI ტური								
4 სექტემბერი								
15.05	182	კარლაილი-ბარტონი	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
18.00	183	აკრინგტონი-უოკინგი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
18.00	184	ალდერშოტი-ნორთვიჩი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
18.00	185	ბარნეტი-მორიკომბი	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
18.00	186	დაგ ენდ რედი-იორკი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
18.00	187	ექსეტერი-ქროული	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
18.00	188	გრეივსენდი-სტივენეიჯი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
18.00	189	ჰერეფორდი-ჰალიფაქსი	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
18.00	190	ლეი-ფორესტ გრინი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
18.00	191	სკარბორო-კონვი	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
18.00	192	ტემუორთი-ფარნბორო	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
შოტლანდია. I დივიზიონი. V ტური								
4 სექტემბერი								
18.00	195	ერდრი-ქუინი	2,15	3,5	2,7	1,33	1,19	1,52
18.00	196	კლაიდი-სტ.მირენი	1,8	3,5	3,4	1,18	1,17	1,72
18.00	197	ჰამილტონი-სტ.ჯონსტონი	2,45	3,5	2,3	1,44	1,18	1,38
18.00	198	პარტიკი-ფოლკირკი	1,9	3,5	3,2	1,23	1,19	1,67
18.00	199	რეითი-როსი	2,5	3,5	2,25	1,45	1,18	1,36
შოტლანდია. II დივიზიონი. V ტური								
4 სექტემბერი								
18.00	202	ალოა-ეარი	2,5	3,5	2,25	1,45	1,18	1,36
18.00	203	ბერიკი-დამბარტონი	2,25	3,5	2,5	1,36	1,18	1,45
18.00	204	ფორფარი-სტირლინგი	2,2	3,5	2,6	1,35	1,19	1,49
18.00	205	მორტონი-არბროთი	1,4	4,2	6,0	1,04	1,13	2,47
18.00	206	სტრანრარი-ბრეჩინი	2,2	3,5	2,6	1,35	1,19	1,49

			1	X	2	1-X	1-2	X-2
შოტლანდია. III დივიზიონი. V ტური								
4 სექტემბერი								
18.00	209	ისტ სტირლინგი-ელგინი	4,4	4,0	1,5	2,09	1,11	1,09
18.00	210	გრეტნა-კოუდენბითი	1,4	4,2	6,0	1,04	1,13	2,47
18.00	211	მონტროუზი-ალბიონი	1,95	3,5	3,1	1,25	1,19	1,64
18.00	212	პიტერჰედი-ისტ ფაიფი	1,55	3,8	4,8	1,1	1,17	2,12
18.00	213	სტენჰაუზმური-ქუინზ პარკი	1,9	3,5	3,2	1,23	1,19	1,67
გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VII ტური								
3 სექტემბერი								
21.30	218	ზტ.პაული-უნიონი	2,15	3,3	2,9	1,3	1,23	1,54
21.30	219	ოსნაბრიუკი-არმინია(მ)	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
4 სექტემბერი								
16.00	220	კილი-ფორტუნა	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
16.00	221	ვოლფსბურგი(მ)-მიუნსტერი	2,05	3,3	3,1	1,26	1,23	1,59
16.00	222	კიოლნი(მ)-დორტმუნდი(მ)	2,45	3,3	2,4	1,4	1,21	1,38
16.00	223	ვუპერტალი-ლიუბეკი	2,3	3,3	2,6	1,35	1,22	1,45
16.00	224	ჰერტა(მ)-ქემნიცი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
16.00	225	ურდინგენი-ვერდერი(მ)	2,0	3,4	3,1	1,25	1,21	1,62
5 სექტემბერი								
16.00	226	ჰამბურგი(მ)-პადერბორნი	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). V ტური								
3 სექტემბერი								
21.00	229	აალენი-შტუტგარტი(მ)	2,0	3,3	3,2	1,24	1,23	1,62
21.30	230	ოფენბახი-ელვერსბერგი	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94
4 სექტემბერი								
16.30	231	მაინცი(მ)-ფულენდორფი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
16.30	232	აუსბურგი-დარმშტადი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
16.30	233	კიკერსი-ნოტინგენი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
16.30	234	ფოიხტი-რეგენსბურგი	2,9	3,3	2,15	1,54	1,23	1,3
16.30	235	მიუნხენი(მ)-ჰოფენჰაიმი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
16.30	236	კობლენცი-ბაიერნი(მ)	3,3	3,4	1,9	1,67	1,2	1,21
16.30	237	ვეენი-ზიგენი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
საფრანგეთი. II დივიზიონი. VI ტური								
3 სექტემბერი								
22.00	254	კლერმონი-სედანი	2,2	2,8	3,4	1,23	1,33	1,53
22.00	255	კრეტეი-ბრესტი	2,1	2,8	3,6	1,19	1,32	1,57
22.00	256	გენიონი-ლავალი	1,8	2,9	4,6	1,11	1,29	1,77
22.00	257	გენგამი-დიუონი	1,8	2,9	4,6	1,11	1,29	1,77
22.00	258	ლე მანი-ლე ავრი	2,2	2,8	3,4	1,23	1,33	1,53
22.00	259	ლორიანი-ანუე	1,65	3,2	5,3	1,08	1,25	1,99
22.00	260	ნიორი-მონპელიე	2,15	2,8	3,5	1,21	1,33	1,55
22.00	261	რეიმსი-გრენობლი	1,8	2,8	4,8	1,09	1,3	1,76
5 სექტემბერი								
20.00	262	ამიენი-შატორუ	1,8	2,9	4,6	1,11	1,29	1,77
6 სექტემბერი								
22.15	263	ნანსი-ტრუა	1,75	3,0	4,8	1,1	1,28	1,84
ჰოლანდია. II დივიზიონი. IV ტური								
3 სექტემბერი								
22.00	268	სპარტა-ემენი	1,55	3,8	4,8	1,1	1,17	2,12
22.00	270	ზვოლე-ოსი	1,5	3,8	5,3	1,07	1,16	2,21
22.00	271	აპელდორნი-ჰელმონდი	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
22.00	273	დორდრეხტი-ჰერაკლესი	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
22.00	274	ეინდჰოვენი-ვოლენდამი	3,5	3,6	1,75	1,77	1,16	1,17
22.00	275	სიტარდი-იგლსი	2,4	3,4	2,4	1,4	1,2	1,4
22.00	276	მაასტრიხტი-კამბური	2,35	3,4	2,45	1,38	1,19	1,42
ბელგია. II დივიზიონი. IV ტური								
3 სექტემბერი								
22.30	279	ვირტონი-სტ.ჟილი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაკაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		5 სექტემბერი						
17.00	280	დაინცე-რუზელარე	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
17.00	281	დესელი-ვარეგემი	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
17.00	282	აალსტი-ვაასლანდი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
17.00	283	ვიგორი-ეუპენი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
17.00	284	ჰეუსდენი-ვიზეტი	1,45	3,6	6,5	1,03	1,18	2,31
17.00	285	კორტრაიკი-გეელი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
17.00	286	რონსე-ანტვერპენი	3,3	3,2	2,0	1,62	1,24	1,23
17.00	287	ტუბეკე-პატრო	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
		შვედეთი. სუპერეტა. XXII ტური						
		2 სექტემბერი						
21.00	318	იოსტერსი-ფალკენბერგი	1,5	3,8	5,3	1,07	1,16	2,21
		შვედეთი. სუპერეტა. XXIII ტური						
		4 სექტემბერი						
18.10	320	ატვიდაბერგი-გეფლე	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
		ნორვეგია. I დივიზიონი. XXI ტური						
		5 სექტემბერი						
18.00	332	ბრინი-მოსი	1,8	3,6	3,3	1,19	1,16	1,72
18.00	333	მანდალი-სკეიდი	1,65	4,0	3,8	1,16	1,15	1,94
18.00	334	პირს გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი	2,3	3,8	2,35	1,43	1,16	1,45
18.00	335	რაუფოსი-კონგსვინგერი	2,1	3,8	2,6	1,35	1,16	1,54
18.00	336	ტრომსდალენი-ალესუნდი	4,8	5,0	1,35	2,44	1,05	1,06
18.00	337	ვარდ ჰაუგესუნდი-ჰიონეფოსი	2,25	3,8	2,4	1,41	1,16	1,47
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXII ტური						
		2 სექტემბერი						
19.30	340	ინტერი-ვაზი	1,45	3,6	6,5	1,03	1,18	2,31
19.00	341	ლაჰტი-ჰაკა	3,1	3,1	2,15	1,55	1,26	1,26
19.00	342	ჰიკ-მიუპა	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
19.00	343	ტპ 47-კტპ	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
		ირლანდია. პრემიერლიგა. XXV ტური						
		2 სექტემბერი						
22.45	353	დუბლინი-ბოჰემიანი	3,4	3,2	1,95	1,64	1,23	1,21
		3 სექტემბერი						
22.00	354	სტ.პატრიკსი-შემროკი	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
		4 სექტემბერი						
23.00	357	ლონგფორდი-დერი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
		6 სექტემბერი						
22.45	358	შელბურნი-დუბლინი	1,25	4,2	8,0	1	1,08	2,75
		ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. I ტური						
		3 სექტემბერი						
22.00	363	ლიბერეცი-ბლშანი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ბრაზილია. სერია A. XXVIII ტური						
		2 სექტემბერი						
03.30	378	ფლამენგო-ვიტორია	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
03.30	379	ატლეტიკო პრ-გუარანი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
		მჩ. შესარჩევი მატჩები						
		4 სექტემბერი						
18.00	004	ირლანდია-კვიპროსი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
18.00	005	ფინეთი-ანდორა	1,04	8,0	20,0	1	1	10
18.00	006	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	3,5	3,1	2,05	1,64	1,29	1,23
19.00	007	რუსეთი-სლოვაკეთი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
19.00	008	ესტონეთი-ლუქსემბურგი	1,1	7,0	14,0	1	1,01	4,66
19.30	009	შვეიცარია-ფარერები	1,05	8,0	17,5	1	1	5,49
20.00	010	ისლანდია-ბულგარეთი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
20.00	011	აზერბაიჯანი-უელსი	6,5	3,6	1,5	2,31	1,21	1,05
21.00	012	თურქეთი-საქართველო	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
21.15	013	ლატვია-პორტუგალია	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
21.30	014	რუმინეთი-მაკედონია	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
22.00	015	დანია-უკრაინა	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
22.15	016	სლოვენია-მოლდოვა	1,3	4,4	9,0	1	1,13	2,95
22.15	017	ბელგია-ლიტვა	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
22.30	018	ხორვატია-უნგრეთი	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
22.30	019	ავსტრია-ინგლისი	5,0	3,4	1,65	2,02	1,24	1,11
22.30	020	სან მარინო-სერბია	20,0	8,0	1,04	5,71	1	1
22.45	021	იტალია-ნორვეგია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
22.45	022	ალბანეთი-საბერძნეთი	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
22.45	023	საფრანგეთი-ისრაელი	1,2	5,0	12,0	1	1,09	3,52
22.45	024	მალტა-შვედეთი	15,0	7,0	1,1	4,77	1,02	1
04.00	025	პერუ-არგენტინა	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
		5 სექტემბერი						
22.15	026	ურუგვაი-ეკვადორი	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
00.10	027	ბრაზილია-ბოლივია	1,1	6,0	15,0	1	1,02	4,28
02.20	028	პარაგვაი-ვენესუელა	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
05.00	029	ჩილე-კოლუმბია	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
		ამხანაგური მატჩები						
		3 სექტემბერი						
22.00	030	ჰოლანდია-ლიხტენშტაინი	1,01	8,0	40,0	1	1	6,66
24.00	031	ესპანეთი-შოტლანდია	1,2	5,0	9,0	1	1,05	3,21
		ჰოკეი. მსოფლიოს თასი						
		2 სექტემბერი						
21.30	1106	გერმანია-ფინეთი	6,0	5,0	1,3	2,72	1,06	1,03
03.00	1107	აშშ-რუსეთი	1,6	4,8	3,4	1,2	1,08	1,99

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
5006	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	4,2	2,05	2,4	1,37	1,52	1,1
5007	რუსეთი-სლოვაკეთი	1,7	2,5	6,0	1,01	1,32	1,76
5010	ისლანდია-ბულგარეთი	3,3	2,05	2,9	1,26	1,54	1,2
5013	ლატვია-პორტუგალია	4,6	2,05	2,3	1,41	1,53	1,08
5015	დანია-უკრაინა	1,95	2,2	5,6	1,03	1,44	1,57
5018	ხორვატია-უნგრეთი	1,9	2,2	6,0	1,01	1,44	1,6

		1	X	2	1-X	1-2	X-2
5019	ავსტრია-ინგლისი	5,3	2,15	2,05	1,52	1,47	1,04
5021	იტალია-ნორვეგია	1,9	2,15	6,0	1	1,44	1,58
5025	პერუ-არგენტინა	5,0	2,05	2,2	1,45	1,52	1,06
5026	ურუგვაი-ეკვადორი	1,9	2,15	6,0	1	1,44	1,58
5028	პარაგვაი-ვენესუელა	1,7	2,5	6,0	1,01	1,32	1,76
5029	ჩილე-კოლუმბია	2,4	2,05	4,2	1,1	1,52	1,37

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წაგებულად ჩაითვლება)

5406	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	2,0	1,8
5407	რუსეთი-სლოვაკეთი	1,35	3,2
5410	ისლანდია-ბულგარეთი	1,9	1,9
5413	ლატვია-პორტუგალია	2,2	1,7
5415	დანია-უკრაინა	1,4	3,0
5418	ხორვატია-უნგრეთი	1,4	3,0
5419	ავსტრია-ინგლისი	2,6	1,5
5421	იტალია-ნორვეგია	1,4	3,0
5425	პერუ-არგენტინა	2,3	1,65
5426	ურუგვაი-ეკვადორი	1,4	3,0
5428	პარაგვაი-ვენესუელა	1,3	3,4
5429	ჩილე-კოლუმბია	1,75	2,1

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5106	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	5,3	10,0	20,0	6,0	4,4	4,0	20,0	10,0	3,0
5107	რუსეთი-სლოვაკეთი	1,9	12,0	25,0	3,5	4,6	12,0	20,0	11,0	11,0
5110	ისლანდია-ბულგარეთი	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,4	20,0	10,0	3,6
5113	ლატვია-პორტუგალია	6,5	10,0	20,0	7,0	4,4	3,6	20,0	10,0	2,6
5115	დანია-უკრაინა	2,3	10,0	20,0	3,5	4,4	9,0	20,0	10,0	8,0
5118	ხორვატია-უნგრეთი	2,2	10,0	20,0	3,5	4,6	10,0	20,0	10,0	9,0
5119	ავსტრია-ინგლისი	8,0	10,0	20,0	9,0	4,6	3,5	20,0	10,0	2,3
5121	იტალია-ნორვეგია	2,1	10,0	20,0	3,5	4,6	10,0	20,0	10,0	10,0
5125	პერუ-არგენტინა	7,0	10,0	20,0	7,5	4,4	3,5	20,0	10,0	2,5
5126	ურუგვაი-ეკვადორი	2,1	10,0	20,0	3,5	4,6	10,0	20,0	10,0	10,0
5128	პარაგვაი-ვენესუელა	1,8	12,0	25,0	3,5	4,8	12,0	20,0	12,0	12,0
5129	ჩილე-კოლუმბია	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,0	20,0	10,0	5,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5506	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	3,0	2,8	2,0
5507	რუსეთი-სლოვაკეთი	3,0	2,8	2,0
5510	ისლანდია-ბულგარეთი	3,0	2,8	2,0
5513	ლატვია-პორტუგალია	3,0	2,8	2,0
5515	დანია-უკრაინა	3,0	2,8	2,0
5518	ხორვატია-უნგრეთი	3,0	2,8	2,0
5519	ავსტრია-ინგლისი	3,0	2,8	2,0
5521	იტალია-ნორვეგია	3,0	2,8	2,0
5525	პერუ-არგენტინა	3,0	2,8	2,0
5526	ურუგვაი-ეკვადორი	3,0	2,8	2,0
5528	პარაგვაი-ვენესუელა	3,0	2,8	2,0
5529	ჩილე-კოლუმბია	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		ი	არა
5306	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	1,8	1,8
5307	რუსეთი-სლოვაკეთი	1,8	1,8
5310	ისლანდია-ბულგარეთი	1,7	1,9
5313	ლატვია-პორტუგალია	1,7	1,9
5315	დანია-უკრაინა	1,75	1,85
5318	ხორვატია-უნგრეთი	1,7	1,9
5319	ავსტრია-ინგლისი	1,7	1,9
5321	იტალია-ნორვეგია	1,8	1,8
5325	პერუ-არგენტინა	1,7	1,9
5326	ურუგვაი-ეკვადორი	1,75	1,85
5328	პარაგვაი-ვენესუელა	1,8	1,8
5329	ჩილე-კოლუმბია	1,7	1,9

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5206	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	1,8	1,8
5207	რუსეთი-სლოვაკეთი	1,8	1,8
5210	ისლანდია-ბულგარეთი	1,7	1,9
5213	ლატვია-პორტუგალია	1,7	1,9
5215	დანია-უკრაინა	1,75	1,85
5218	ხორვატია-უნგრეთი	1,85	1,75
5219	ავსტრია-ინგლისი	1,85	1,75
5221	იტალია-ნორვეგია	1,75	1,85
5225	პერუ-არგენტინა	1,7	1,9
5226	ურუგვაი-ეკვადორი	1,75	1,85
5228	პარაგვაი-ვენესუელა	1,8	1,8
5229	ჩილე-კოლუმბია	1,7	1,9

ეროვნული ბიბლიოთეკა



ათენში მითიც გაცოცხლდა და ისტორიაც

ATHENS 2004

ATHENS ოლიმპიური თამაშების მოახლოებასთან დაკავშირებით ერთი რუსი ჟურნალისტი დაახლოებით ასეთ რამეს წერდა, ამ ქართველებმა და ბერძნებმა ტვინი წაიღეს თავიანთ წარსულზე ბაქი-ბუქით. ამათ ჰგონიათ, დედამიწა მათ გარშემო ბრუნავსო.

არც ჩემს თანამემამულეებსა და არც ბერძნებს ჩემი გამოსაქომაგებელი არაფერი სჭირთ, იმას კი ვიტყვი, ის ჟურნალისტი თუ ათენში „ქართულ სახლში" გამართულ რომელიმე თავყრილობაზე და ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე ცალი თვალით შეიხედავდა, ნახავდა, რომ თავმოსაწონებელი ქართველებსაც და ბერძნებსაც მართლაც ბევრი რამ გვაქვს. ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ, რადგან ჩვენი დღევანდელი თემა ეს კი არა, ათენის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალის ფოტორეპორტაჟია.



1952 წლის ჰელსინკის მერე ათენი იყო ყველაზე მცირერიცხოვანი სახელმწიფოს დედაქალაქი, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა. ათენელებმა ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე შეგვახსენეს თავიანთი ბოლო 3000-წლოვანი წარსული. მათ გააცოცხლეს ოლიმპოს მთაზე ბინადადებული ოლიმპიელი ღმერთების მითითა, ნახევრადღმერთების ისტორია. გაცოცხლდა მითოლოგიური კენტავრი და გრიფი, გამარჯვების ქალღმერთი და ანტიკურ ამფორებზე, ლარნაკებზე თუ ვაზებზე გამოსახული სცენების ისტორია. ეს ყველაფერი დაკავშირებული იყო წყალთან, საიდანაც, როგორც ნიჟარიდან აფროდიტე, ისე იშვა სიცოცხლე. და ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალი დედამიწაზე კი არა, წყალზე გაიმართა.

აქვე გაცოცხლდა ანტიკური ოლიმპიური თამაშების სცენები და თანამედროვე ოლიმპიელების ისტორიაც. და ეს ყველაფერი იყო მეტად ლამაზი, მიმზიდველი და შემეცნებითი ცერემონიალი, სადაც უკლებლივ ყველაფერი ძალზე ორიგინალურად წარმოგვიდგინეს.

ავთანდილ გურასაშვილი
ავტორის ფოტოები

US OPEN 2004 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 19 050 000 $

რა გინდათ შარაპოვასი?

უიმბლდონის დედოფალი ნაწილ-ნაწილ დაიტაცეს

REUTERS ნიუ იორკიდან

თავი დამანებეთო, ეხვეწება ხალხს მარია შარაპოვა

პირველი წრე

კაცები

ენდი როდიკი (2, აშშ) — სკოვილ ჯენკინსი (აშშ) 6:0, 6:2, 6:2; **ტიმ ჰენმანი** (5, ბრიტანეთი) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 7:6 (7:3), 6:7 (7:9), 4:6, 6:4, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო** (7, ესპანეთი) — ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) 4:6, 7:5, 7:6 (8:6), 6:7 (4:7), 6:3; **ნიკოლას მასუ** (10, ჩილე) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:4, 6:0, 6:2; **ანდრეას სეპი** (იტალია) — რაინერ შუტლერი (11, გერმანია) 3:6, 4:6, 7:6 (7:5), 7:6 (7:1), 6:1; **ტომას ენკვისტი** (შვედეთი) — მარატ საფინი (13, რუსეთი) 7:6 (7:5), 6:4, 3:6, 6:3; **პარადორნ შრიჩაფანი** (15, ტაილანდი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 4:6, 6:4, 6:1, 6:1; **ტომი რობრედო** (18, ესპანეთი) — დანაი უდომჩოკე (ტაილანდი) 6:4, 7:5, 6:4; **დომინიკ ჰრბატი** (22, სლოვაკეთი) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:1, 6:2, 6:1; **ლი ჰიუნგ-ტაიკი** (სამხრეთ კორეა) — ივან ლიუბიჩიჩი (24, ხორვატია) 3:6, 6:3, 1:1 *ლიუბიჩიჩმა შეწყვიტა*; **იოახიმ იოჰანსონი** (28, შვედეთი) — იენ-ჰსუნ ლუ (ტაივანი) 6:3, 6:1, 6:3; **გილერმო კანიასი** (არგენტინა) — კრისტო ფლიგენი (ბელგია) 6:3, 4:6, 7:5, 6:1

ქალები

ჟუსტინ ენენ-არდენი (1, ბელგია) — ნიკოლ ვაიდისოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:4; **ანასტასია მისკინა** (4, რუსეთი) — ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:0; **ლინდსი დევენპორტი** (5, აშშ) — ლუბომირა კურჰაიცოვა (სლოვაკეთი) 6:4, 6:0; **მარია შარაპოვა** (7, რუსეთი) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:3, 5:7, 7:5; **სვეტლანა კუზნეცოვა** (9, რუსეთი) — სისილ კარატანჩევა (ბულგარეთი) 6:2, 6:0; **ვინუს უილიამსი** (11, აშშ) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 6:3, 7:6 (7:3); **პაოლა სუარესი** (13, არგენტინა) — ნან-ნან ლიუ (ჩინეთი) 6:1, 7:5; **ნადია პეტროვა** (14, რუსეთი) — წენ ძი (ჩინეთი) 6:0, 6:1; **სილვია ფარინა ელია** (19, იტალია) — აბიგაილ სპირსი (აშშ) 3:6, 6:2, 6:4; **ჩანდა რუბინი** (20, აშშ) — მარია სანჩეს ლორენსო (ესპანეთი) 6:2, 6:2; **ემი ფრეზერი** (21, აშშ) — კელი მაკეინი (აშშ) 6:2, 6:2; **შინობუ ასაგოე** (იაპონია) — ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (24, ისრაელი) 3:6, 6:4, 6:1; **მარია კირილენკო** (რუსეთი) — ელენა ლიხოვცევა (25, რუსეთი) 7:6 (7:3), 6:3; **ელენა ბოვინა** (26, რუსეთი) — მარტა მარერო (ესპანეთი) 6:3, 6:0; **მარი პირსი** (27, საფრანგეთი) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:1, 6:2; **ელენი დანილიდუ** (29, საბერძნეთი) — სილვია ტალაია (ხორვატია) 3:6, 6:3, 7:5; **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 1:6, 6:4, 6:2

მშობლიურ სეფეკორტებზე შარშან მოხვეჭილი პირველი სლემტიტულის დაცვა ამერიკელმა ენდი როდიკმა თავისი 22-ე დაბადების დღის მომდევნო დილასვე დაიწყო. ბედად — წილისყრამ მას უსუსტესი მეტოქე, 17 წლისა და რეიტინგსიაში 1439 (!!) ადგილით მასზე დაბლამდგომი სკოვილ ჯენკინსი არგუნა.

ჰოდა, ენდიბოიმაც კაცურად გაილაღა. საბერტყად ნარგუნებ თვისტომს მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო, მატჩს სულ 72 წუთი მოანდომა და ერთ მომენტში ტურნირისთვის სარეკორდოდ სწრაფი, საათში 152-მილიანი მოწოდებაც დაახრუხუნა.

ნამატჩევს კი ის დაუფარავად კმაყოფილობდა და — აქ თამაში მაგრად მიხარიაო — ამბობდა. ბოლოსკენ კი გვემულ მეტოქესაც ესათუთებოდა, აქაოდა, მაგას ჯერ ყველაფერი წინა აქვსო. მოკლედ — ძალიან კარგ ხასიათზე იყო.

საკითხავია, როგორ ხასიათზე იქნება ის ამის შემდეგ, რაც მეორე წრეში ჯენკინსის კბილა ესპანელ რაფაელ ნადალს დაეჯახება. ნადალმა იმ დღეს შვეიცარიელ ივო ჰოიბერგერს აჯობა — 6:0, 6:3, 4:6, 2:6, 6:3. და, მართალია, გაზაფხულზე გადატანილი კოჭის მძიმე ტრავმის გამო ის ახლა ზორბა ფორმაში ვერ არის, მაგრამ როდიკისა და მისი შეხლას მილეთში მაინც ინტერესით მოელიან.

სხვაფრივ — კაცთა ამქარმა იმ დღეს ერთბაშად ორი სახელიანი მეჩოგნე, ტურნირის 2000 წლის რუსი ჩემპიონი მარატ საფინი და შარშანდელი სეზონის უგამორჩეულესი მოპურთალი რაინერ შუტლერი მოიკლისა. სხვაგვარ ვითარებაში ამათი საპირველწრეო მარცხი ეგებ სენსაციადაც შეგვეფასებინა, მაგრამ რაკი წლეულს ორივე უმრუდესს ფორმაშია და ქომაგებს წარმატებებით არ ანებრივებს, ამიტომაც მათ ამ წაფორხილებას განსაკუთრებულ მოულოდნელობად ნაღდად ვერ მოვნათლავთ.

ოყრაყი რუსი აშშ-ის ღია პირველობაზე წლეულს მეექვსედ გამოდიოდა და აქამდე ჯერ არ მომხდარიყო, პირველი წრიდანვე რომ გაეიმასქნებინათ. ამ სასიფთაო საქმის გაკეთება თავის თავზე აიღო სახელიანმა, თუმც ტრავმიანობის გამო ჩაქვეითებულმა შვედმა ტომას ენკვისტმა, ვინაც რუსი პირველი მოწოდებიდან ორი საათისა და 37 წუთის თავზე დაიმორჩილა.

ნამატჩევს საფინი ძირითადად თავდაჯერებულობის ნაკლებობაზე საუბრობდა, იმაზე, რაიც გამარჯვების უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორია. მერე კი იმასაც დასძენდა, ენკვისტმა თავისით კი ვერ მაჯობა, ამის გაკეთების საშუალება ჩემი სიბითურით მივეციო.

ახლა სხვებზეც:

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნიკოლას მასუმ ათენში აკრეფილი სიჩქარეები ნიუიორკშიც არ დააგდო და არგენტინელ ხოსე აკასუსოს გადაურბინა. ოლიმპიურ თამაშებზე ერთეულადაც და წყვილადაც გაჩემპიონებულმა ჩილელმა რეიტინგსიის 79-ეადგილოსანი მეტოქე საკმაოდ იოლად დათრგუნა, ისე, რომ შეუირაღებელი თვალიც კარგად შენიშნავდა, ათენიდან მან ოქროს გარდა საფინის მიერ მოსაკლისებული თავდაჯერებულობა ზომაზე მეტად გამოიყოლა.

ხუთ-ხუთ სეტიანი ომები გადაიხადეს ზეათეულელებმა — ტიმ ჰენმანმა და ხუან კარლოს ფერერომ. ბრიტანელს ორმეტრიანსა და რვასანტიმეტრიან ხორვატ ამბალ ივო კარლოვიჩთან მოუხდა დავა, ვინაც მისი წილი კორტი მატჩის მსვლელობისას 39 ეისითაც დააწამოძა. მაგრამ 29 წლის კუნძულელი მეტოქის შემზარავ გლაჯუნს არ დაუფრთხია — პირიქით, მერე იმასაც კი იძახდა, ამდენმა ეისმა ზედმეტი სირბილისგან დამიცვაო — და მძლავრი, მაგრამ ტაქტიკურად უსუსური ხორვატი სამსაათიანი და 37-წუთიანი ხათქა-ხუთქის შემდეგ მაინც მოაშთო.

შარშანდელ ფინალისტ ფერეროს კი, ვინაც ტრავმიანობის გამო წლეულს იმის მეათედ თამაშს ვერ აჩვენებს, ჰენმანზე თითქმის ერთი საათით მეტი დასჭირდა, მოულოდნელად გაჯიუტებულ ჩეხ ზიბს რომ გასცდენოდა. ამ ზიბს აქამდე ერთი სლემმატჩიც ვერ მოეგო და, ბუნებრივია, ფორმაში არმყოფი სახელიანი მეჩოგნის ძლევით კარიერის უდიდესი მოგების მითვლას შმაგად ლამობდა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ფერერომ ჩვეულ სიმტკიცეს უხმო და გამარჯვებით ისე გაიხარა, საფინალო მოწოდების შემდეგ კორტზეც კი დაემხო.

ტურფათა ჩარდახს რაც შეეხება, ერთი-ორი გამოსარჩევი ამბავი აქაც მოხდა. ასე მაგალითად, შარშანდელ ჩემპიონსა და ამქრის პირველოსან ჟუსტინ ენენ-არდენს მეორე სეტში უფიცხელესი ბრძოლა გაუმართა და ერთი პირობა 4:1-ც უგებდა 15 (!) წლის ჩეხი კვალიფიკანტი ნიკოლ ვაიდისოვა. სეტის წაგების სირცხვილს ჭინკა ჟუსტინი მხოლოდ მაშინ გადარჩა, როცა გამრუდებული მოწოდება გაისწორა და მატჩის მოყანყალებული სადავეები კვლავ მტკიცედ უკუიპყრო.

იმ მომენტისთვის ოდნავ წავთვლიმეო, იმართლებოდა მერე ჟუსტინი. პატარა ჩეხმა გოგონამ კი, ვინაც კარიერის პირველი სადაბლიუეიტიო ტიტული ადრეაგვისტოში ვანკუვერულ მაგარსაფარზე იშოვა, უკვე ყველას დაანახა, რომ წათვლემას და ეგეთ სიაფანდ რალაცებს არავის შეარჩენს.

თავისი ზედიზედ მე-18 გამარჯვება მიითვალა ლინდსი დევენპორტმა, რომელსაც ენენ-არდენის ერთ უმთავრეს მოცილედ მიიჩნევენ. შეგახსენებთ, რომ წინა 17 მოგება ლინდსის ივლისში, კალიფორნიულ ჰეთთრიქად წოდებული სამტურნირეულის დაწიოკებისას მიუგროვდა...

ლინდსის დარად დამაჯერებლად გაირჯა რუსთა დეკეული ანასტასია მისკინა. მეორე წრეში თავისიანთა 11-ქალიან დესანტს ის სლოვაკ კურჰაიცოვასთან 42-წუთიანი მსუბუქი გასპარინგების შედეგად შეუძლვა. სხვათა შორის, ამ თერთმეტშია ანა ჩაკვეტაძეც, ვინაც ავსტრიელი ბარბარა შეტის დამარცხებით დღის ერთი უმთავრესი მოულოდნელობაც გამოაცხო.

უიმბლდონის ნორჩი დედოფალი მარია შარაპოვა კი ბეწვზე გადაურჩა დამარცხებას. 23 წლის ლაურა გრენვილთან მესამე სეტში ის 4:5 აგებდა, მაგრამ საბედისწერო მომენტში მეტოქისთვის მისი გეიმის წართმევა მაინც შეძლო და მერე კიდევ ორიც მიაყოლა.

ეს ჩემი პირველი დიდი მატჩი იყო ართურ ეშის კორტზეო, ამბობდა ის მერე, ამდენი შეცდომაც ეგებ ამის ბრალი იყოსო. სულ ბოლოს კი იმასაც დასძენდა, უიმბლდონზე მოგების შემდეგ პრესა მაგრად მერჩის, ყველას ჩემი რაღაც ნაწილი უნდა და ამის გაძლება არც ისე ადვილი საქმეაო. მოკლედ — ძალიანაც ნუ შემიკლავთო, გვითხრა.

და ბოლოს — მაინცდამაინც დამაჯერებელი არც ტურნირის ორგზის ჩემპიონის ვინუს უილიამსის მოგებას ეთქმოდა. მეორე წრეში მას რეიტინგსიის 64-ეადგილოსან პეტრა მანდულასთან ტაიბრეიკზე ბულრაობაც კი დასჭირდა. როცა ვინუსს ნამატჩევს ჰკითხეს, ტურნირისგან რას გამოელითო, ასე მიუგო — ძალიან შორს არ ვიყურები, ახლა მხოლოდ მეორე წრის ამბავი მაინტერესებსო.

ლევან ქელაურაძე

REUTERS ნიუ იორკიდან

ვინუს უილიამსი დაიკო სერენაზე არანაკლები ზიზილ-პიპილოებით გამოცხადდა კორტზე



პო ორტეზმა მდივანი მოხსნა

ეპინალს ქართველი ეპიტნევება

ფრანგულ „პო ორტეზში" მოთამაშე გიორგი მდივანი ბევრს ეცადა, ძირითადი გუნდის შემადგენლობაში ადგილი მოეპოვებინა, მაგრამ ვერ მოახერხა და მომავალ სეზონს მეორე დივიზიონის „ეპინალში" გაატარებს.

სამი წელია, რაც მდივანი „პო ორტეზმა" წაიყვანა და ამ ხანში ძირითადად დუბლიორებში ათამაშებდა. ქართველი ფორვარდი „სტუ-ჯეოსელიდან" საფრანგეთში რომ წავიდა, წონიანი და შედარებით დუნე იყო. პოში კი დაიხვეწა, ქონები კუნთებში გარდასახა და „პო ორტეზის" ახალგაზრდული გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. პატარებში წარმატებამ მდივანს დიდ გუნდშიც გაუხსნა გზა და ერთი ხანობა ქართველი ფორვარდი სისტემატიურად იყო „პო ორტეზის" განაცხადში. თუმც მხოლოდ სკამზე ჯდომა ხომ არაა საქმე — მდივანმა კი მისთვის განკუთვნილ მცირე სათამაშო დროში, ეტყობა, იმხელა შთაბეჭდილება, ვერ მოახდინა ხელმძღვანელობაზე, რომ ძირითადში დაეტოვებინათ და ქართველიც „ეპინალში" აღმოჩნდა.

პოელები, რა თქმა უნდა, უარს არ იტყოდნენ მდივნის თავიანთ ახალგაზრდულ გუნდში დარჩენაზე, მაგრამ საქმე ისაა, რომ ქართველ ფორვარდს ასაკი მოემატა და ფრანგული კანონების თანახმად, ახალგაზრდულ ჩემპიონატში თამაში აეკრძალა — პროფესიულ ლიგაში უნდა გადასულიყო. პოელებმაც, რომლებსაც მდივანთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებდათ, ქართველი „ეპინალში" გაანათხოვრეს.

„ეპინალი" მეორე დივიზიონის საშუალო გუნდია, თუმც ლეგიონერები ბლომად ჰყავს. მდივანი ახალ გუნდში სამი დღის წინ მივიდა და ვარჯიშსაც შეუდგა. როგორც „ეპინალის" ინტერნეტ-გვერდი იუწყება, მდივანი გუნდის ძირითადი ხუთეულის წევრი იქნება და უმაღლეს დივიზიონში გადასვლაში დაეხმარება.

ევროპაში მოთამაშე ქართველთაგან წლევანდელ ზაფხულს მხოლოდ მდივანი არ ყოფილა სამშობლოში. ის ჯერ ბარსელონაში, ნბას მიერ მოწყობილ კემპზე იმყოფებოდა და შემდეგ ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაზეც აპირებდა გამოსვლას, მაგრამ ვიზის მიღების პროცედურა გაიწელა და ვერ გაემგზავრა იმ ტურნირზე, რომლის ბომბარდირი დენვერელი ნიკოლოზ ცქიტიშვილი გახდა საშუალოდ მატჩში ჩაგდებული 26 ქულით.

ირაკლი ბერტაია

სტუდენტები ბავშვებს იმატებენ

თსუ-მ თავი შეინარჩუნა

ქართულ საკლუბო კალათბურთში გამეფებულმა სიდუხჭირემ, ცხადია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდსაც დარია ხელი. თუმც, სხვებისგან განსხვავებით, სტუდენტები გუნდის შენარჩუნებას მაინც ახერხებენ, ოღონდ ახლა ქართულ კლუბებში მოდაში შემოსული ფრაზისა არ იყოს, აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებენ.

აქცენტის ახალგაზრდებზე გაკეთება რისი ბრალიცაა, ყველას კარგად მოეხსენება: უფულობის. სალარო სავსე რომ ჰქონდეს, რომელი კლუბი გამოეკიდება ჭაბუკ, დაუღვინებელ კალათბურთელს. ვისაც შემადგენლობის შესავსებად ფული არ ჰყოფნის, ნედლ ბიჭებს ეძახის და პატარებიც დიდი სიამოვნებით, ალალ ენთუზიაზმზე თამაშობენ ეროვნულ ჩემპიონატში.

თსუ-მაც ამ ხერხს მიმართა, თუმც ძველი შემადგენლობიდან არაერთი გამოცდილი მოთამაშეც შეინარჩუნა. ჯერ წასულებზე ვთქვათ: როგორც სტუდენტთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა გია ჯავახიშვილმა გვითხრა, თსუ-ს ოთხმა გამოცდილმა კალათბურთელმა დატოვა — დავით თორთლაძემ, კახა შენგელიამ, მამუკა აბრამიძემ და ამროსი ორმოცაძემ.

წასულთაგან ჯერჯერობით მხოლოდ კახა შენგელიამ მონახა თავშესაფარი — იგი „სტუ-ჯეოსელში" გადავიდა. ორმოცაძეს ირანისკენ უჭირავს თვალი, დანარჩენების ბედი კი ჯერაც გაურკვეველია.

ჯავახიშვილის თქმით, ძველი შემადგენლობიდან თსუ-ში ნუგზარ კოკოლიშვილი, ირაკლი მაისურაძე, გიგი ნაცვლიშვილი, მიშა ფანჩულიძე და ბესიკ ლეჟავა დარჩებიან. რაც შეეხება ახალწვეულებს, თსუ კალათბურთის აკადემიის აღსაზრდელებით გაახალგაზრდავდება. უკვე გადაწყვეტილია, რომ დავით ხიზანიშვილი და გიორგი გაფრინდაშვილი სტუდენტურ მაისურას მოირგებენ, სხვათა შესამატებლად კი მოლაპარაკება ჯერაც მიმდინარეობს.

მწვრთნელთა საკითხიც თითქმის მოგვარებულია — თსუ-ს კვლავ მამუკა ტურაშვილი და გია ჯავახიშვილი უთავკაცებენ. ვინ იქნება მთავარი მწვრთნელი და ვინ თანაშემწე, მალე გაირკვევა.

ირაკლი ბერტაია

სერ ჩარლზი საქმეს და შარს ეძებს

რამდენიმე დღის წინ ფილადელფიის პოლიციის განყოფილებაში ღამის ორ საათზე ქალმა დარეკა, კაცი ამეკიდა და მეძალადებაო. მომჩივანმა მოძალადის ვინაობაც დაასახელა — ჩარლზ ბარკლი! მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ბარკლი იქნება, ბილ კლინტონი თუ კლაიდ ბეროუ. თუ ვინმემ რამე დააშავა, ამერიკაში პასუხს ყველას სთხოვენ და ფილადელფიის პოლიციამაც ლეგენდარულ კალათბურთელზე საქმე აღძრა.

„ბრალდება ჯერ არ წაგვიყენებია. ამჟამად საქმე მოკვლევის პროცესშია" — ამბობს ფილადელფიის პოლიციის განსაკუთრებულ მსხვერპლთა განყოფილების სერჟანტი ჯიმ პოლი.

ისე, ამ ამბავმა ბევრი ვერ გააკვირვა. გულზვიადობის გამო „სერ ჩარლზად" წოდებული ბარკლი არც მოთამაშეობის ჟამს იყო უხიფათო. ბევრს ახსოვს მისი მუშტი და იდაყვი, თანაგუნდელებსაც და მეტოქეებსაც. დიდი მოთამაშე კი იყო, ნბა-ს ჩემპიონი არ გამხდარა, თორემ სხვა ყველაფერს მიაღწია. 1992 წელს ბარსელონას ოლიმპიადაზე პირველ და ნამდვილ „ოცნების გუნდშიც" შიშის ზარს სცემდა მეტოქეთ და ამერიკელთა ნაკრებში ოლიმპიურ ტურნირზე პირველი ბომბარდირი გახდა — ამ გუნდში კი მართლა უდიადესები, მაიკლ ჯორდანი, მეჯიქ ჯონსონი და ლარი ბერდიც თამაშობდნენ. „დრიმ თიმმა" ფრენა-ფრენით მოიგო ბარსელონის ოლიმპიადა. ოთხი წლის შემდეგ კი ჩარლზ ბარკლი შემდეგი თაობის „დრიმ თიმსაც" დაეხმარა ოლიმპიური ოქროს მოპოვებაში.

ბარკლი 2000 წლამდე თამაშობდა, შემდეგ კი მოედნიდან სტუდიაში გადაბარგდა და პოპულარული ტელეარხის თიენთის წამყვანი გახდა. მოგეხსენებათ, ახლა ნბა ისვენებს, გოლიათი სერ ჩარლზიც ღამის ბარებში დაეხეტება და ხალხს აფრთხობს.

კოტე ყორშია

მსოფლიოს თასი 2004 30 აგვისტო — 14 სექტემბერი

ეში ეშმა არაა

ამერიკამ კანადისგან გაუშვა

REUTERS მონტრეალიდან

კანადელი მარტინ ბროდოს კარში ამერიკელებმა ბევრი ვერ გაიტანეს, თავად კი იქ არაერთხელ აღმოჩნდნენ

ევროპული ჯგუფი

— 30 აგვისტო —

ფინეთი 4:0 ჩეხეთი

1:0 0:0 3:0

1:0 ჰენტუნენი (7), 2:0 ს. კოივუ (41), 3:0 სალო (45), 4:0 ელორანტა (49)

საქმეს როგორც დაიწყებ, ისევე წაგივაო, უთქვამთ ბრძენ ხალხს და თუ ფინეთი — ჩეხეთის მიხედვით ვიმსჯელებთ, 2004 წლის მსოფლიოს თასს კარგი პირი უნდა უჩანდეს. სადებიუტო მატჩში ნამდვილი პროფესიონალებისათვის ჩვეული ტემპი, ლამაზი კომბინაციები და, რაც მთავარია, ბრძოლის დიდი ჟინი ვიხილეთ. აშკარად ჩანდა, რომ საზაფხულო არდადეგების შემდეგ ჰოკეისტებს ერთობ მონატრებიათ ყინული და დიდი მონდომებით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ეს, მით უმეტეს, ითქმის ფინელებზე. აი, ჩეხების უმრავლესობამ კი გააწბილა ქომაგები. ეგებ ამის მიზეზი ლეგენდარული ჩეხი ჰოკეისტის ივან ჰლინკას ტრაგიკულად დაღუპვაც იყოს. სწორედ ჰლინკა უნდა ყოფილიყო ჩეხთა თავკაცი, მაგრამ ტურნირამდე ათი დღით ადრე ის ავტოკატასტროფაში მოხვდა და გუნდს მის ნაცვლად ვლადიმერ რუჟიჩკა წარუძღვა.

ასეა თუ ისე, ჩეხები ნამდვილად ვერ იყვნენ ხასიათზე, გამოცდილმა მასპინძლებმა კი ამით ისარგებლეს და ოთხი უპასუხო გოლით მოაოხრეს ტომაშ ვოკოუნის კარი. ანგარიში იუკა ჰენტუნენმა გახსნა, როცა ვარდნაში შეუცვალა შაიბას მიმართულება და ცარიელ კარში შეასრიალა.

ფინელებმა ამის შემდეგ ტემპი დააგდეს და მეტოქეს მისცეს ათამაშების შანსი, თუმც ჩეხები კვლავ ინერტულნი იყვნენ და მათთვის უჩვეულოდ, დაცვაში სცოდავდნენ. ამიტომ, როცა 41-ე წუთზე საკუ კოივუმ (გუნდში მისი უმცროსი ძმა მიკაც თამაშობს) ვოკოუნს ეშმაკურად გაუტარა შაიბა ფეხებს შორის, ნათელი გახდა, რომ ის დღე ჩეხების არ იყო.

შემდეგ ფინელები კვლავ გააქტიურდნენ და სამი სალომ რიცხვმრავლობაში შორიდან გაიტანა. მერე მიკო ელორანტამ დასრულა სწრაფი კონტრშეტევა და საეთოდ შეარცხვინა ჩეხები.

რუჟიჩკას მატჩისშემდგომი კომენტარი მოკლე იყო, ეს ჩვენი დღე არ იყოო. ეს მარცხი ყველაფერს არ წყვეტს და ვნახოთ, მომდევნო მატჩებში რას იზამენ. უკლებლივ ყველა გუნდი მეორე ეტაპზე გადის, მაგრამ მეოთხედფინალებში ევროპულ ჯგუფში პირველ ორ ადგილზე გასულები თავიანთ მოედნებზე ისპარეზებენ, რაც დიდი უპირატესობაა.

— 31 აგვისტო —

შვედეთი 5:2 გერმანია

1:1 4:1 0:0

1:0 ჰოლმსტრიომი (17), 1:1 შტურმი (18), 2:1 სუნდინი (22), 3:1 იუნსონი (28), 4:1 ნილსონი (32), 4:2 კროიცერი (33), 5:2 მოდინი (37)

ამ მატჩში გამარჯვებულის გამოცნობა ძნელი სულაც არ იყო. შვედეთი აშკარა ფავორიტად ითვლებოდა. მით უმეტეს, რომ თამაში სტოკჰოლმში გაიმართა. თუმც პირველ პერიოდში მასპინძლები ზედმეტად მშვიდად და ფლეგმატურად გამოიყურებოდნენ და მხოლოდ მე-17 წუთზე გამოიყენეს პირველად თავიანთი ტერიტორიული უპირატესობა. სულ რაღაც წამებში მარკო შტურმმა ისარგებლა კიმ იუნსონის შეცდომით და უმცირესობაში მყოფმა გერმანიამ ანგარიში გაათანაბრა. ამ გოლით გაბრაზებულმა სკანდინაველებმა მეორე პერიოდის 12 წუთში სამი შაიბა შეაგდეს და ყველაფერს ნათელი მოჰფინეს. დანარჩენი დროის მთავარი მოვლენა კი შვედების მეკარე ტომი სალოს მიერ გაშვებული გოლი გახდა. დანიელ კროიცერმა შაიბა შორიდან უფრო კარისკენ მოისროლა, ვიდრე დაარტყა, მაგრამ სალომ უშნოდ მოიქნია ხელი და გაუვიდა ვიდეც. კიდევ კარგი, რომ ამ მომენტისთვის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

ამერიკული ჯგუფი

კანადა 2:1 აშშ

1:0 1:1 0:0

1:0 სან ლუი (17), 2:0 საკიკი (24), 2:1 გერინი (31)

ევროპული ჯგუფის მატჩები რამდენადაც შინაარსიანი უნდა იყოს, მსოფლიოს თასზე განსაკუთრებულ ინტერესს მაინც ჩრდილოამერიკული ნაწილი იწვევს, სადაც ფავორიტები, კანადა და აშშ თამაშობენ. ორგანიზატორებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ტურნირი მაქსიმალურად საინტერესო ყოფილიყო და პირველივე მატჩში ბოძლები შეაჯახეს ერთმანეთს. ამან გაამართლა. ამერიკაში გამართული თამაში უაღრესად საინტერესო გამოდგა. გარდა იმისა, რომ ჩრდილოამერიკელებს ბრძოლის ჟინი სისხლში აქვთ გამჯდარი, ამას ხელს პრესისა და საზოგადოების განწყობაც უწყობდა. მაგალითად, ტურნირის დაწყებამდე გამართული ერთ-ერთი საგამოფენო მატჩი, რომელშიც რუსებმა და სლოვაკებმა 0:0 ითამაშეს, მკაცრი კრიტიკის საბაბი გახდა. მონრეალის ერთ-ერთი გაზეთი წერდა, კიდევ კარგი, რომ ტრიბუნებზე მხოლოდ 4 ათასი კაცი იჯდა, ასეთი უსულგულო თამაში მეტის ღირსი არც იყოო. ავტორი იქვე დასძენდა, რომ ფორმატის მიუხედავად ([illegible] ყველა გუნდი მომდევნო ეტაპზე გადის), ჯგუფური ტურნირი [illegible] მატჩებად არ უნდა იქცეს და თუ ამ ეტაპზე ნამდვილი ჰოკეი არ აჩვენეს, გულშემატკივრები ზურგს აქცევენ ტურნირსო. ამის შემდეგ კანადისა და აშშ-ს ჰოკეისტებს უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ თამაში საინტერესო და დაძაბული ყოფილიყო. ამ მატჩს შეხლა-შემოხლა და სერიოზული ჩხუბიც არ მოჰკლებია.

პირველ პერიოდში უფრო მასპინძლები აქტიურობდნენ და რომ არა აშშ-ს მეკარე რობერტ ეში, ანგარიში უფრო სოლიდური იქნებოდა. კანადელებმა შესაშური ურთიერთგაგება გამოამჟღავნეს და მათ შეტევებს მეტოქე მხოლოდ ჯარიმების წყალობით უმკლავდებოდა, თუმც ბოლომდე მაინც ვერ შეაჩერეს ისინი. კანადელებმა ორჯერ რიცხვმრავლობა გამოიყენეს — ჯერ გასული სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ მარტენ სან-ლუიმ შეიფერა ჯო ტორნტონის გამოზომილი პასი, მერე ჯო საკიკის შორეული დარტყმის შემდეგ შაიბა ასხლტა და კარში აღმოჩნდა.

სტუმრები მხოლოდ თავიანთი პროვოცირებული შეხლა-შემოხლის შემდეგ გააქტიურდნენ და წამით უმეთვალყურეოდ დარჩენილმ ბილ გერისმა ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა. ეს იყო და ეს, მერე ვერც ერთმა გუნდმა ველარ იხეირა, თუმც მომენტები არაერთხელ შეიქმნა. საბოლოოდ კანადელთა მოგება მაინც კანონზომიერი გამოდგა, რაც მეტოქეებმაც აღიარეს. „ეს ემოციური თამაში იყო, რომელშიც კანადამ უფრო მეტი ბრძოლისუნარიანობა აჩვენა“ — თქვა ნამატჩევს აშშ-ს თავკაცმა რონ უილსონმა.

სამველ ლარიბიანი

კაპიტანმა ჩაძირული გემი მიატოვა

ინგლისის ნაკრები თვალსა და ხელს შუა იშლება. რაგბიდან ფეხბურთში გადაბარგებულ „ვარდების“ თავკაც კლაივ ვუდვორდს რომ შევეშვათ, მსოფლიოს ჩემპიონებმა ჩემპიონობის შემდეგ დაკარგეს კაპიტანი მარტონ ჯონსონი, ნილ ბეკი, ჯეისონ ლეონარდი, კირან ბრაქენი და პოლ გრეისონი. ნაკრებიდან წასულთა ამ არცთუ მოკლე სიაში ამ დღეებში კიდევ ერთი ღვაწლმოსილი ვეტერანი ლოურენს დალალიოც ჩაეწერა.

32 წლის დალალიომ ინგლისური რაგბის ბინაზე, „თვიქნემის“ საპრესკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტები შემოიკრიბა და თქვა — „ბედნიერი კაცი ვარ, რომ მითამაშია, არაერთი დიადი მორაგბის გვერდიგვერდ და წინაალმდეგ, 10 წელია, ინგლისის ნაკრებში ვარ და წასვლის დროც მომივიდა. ჩემი აზრით არ შეიძლება მოთამაშისთვის არსებობდეს ნაკრებში თამაშის, მისი ქვეყნის ღირსების დაცვაზე დიდი ჯილდო. მე კი 73-ჯერ მქონდა ამის ბედნიერება.“

რაც შეეხება ჯილდოებს, დალალიო მათ ნამდვილად არ მოისაკლისებს. თუნდაც 2003 წელს ავსტრალიაში მსოფლიოს თასის მოგება რად ღირს.

მშფოთვარე ბუნების ინგლისელ მორკინალს შესაძლოა, ერთი რამ სწყინდეს: მსოფლიოს თასზე მან კი არა მარტინ ჯონსონმა უკაპიტნა „ვარდებს“, მაგრამ თავშეკავებული კაცია და ამაზე რამეს, აბა, როგორ იტყოდა.

ისე კი, ის 1997 წლიდან, ანუ ნაკრების თავში კლაივ ვუდვორდის მოსვლის შემდეგ კაპიტნობდა „ვარდებს“, მაგრამ 1999 წელს კოკაინის ყნოსვაში ამხილეს და კაპიტნობას ვინ ჩივის, ლამის ეროვნული გუნდიდან მოკვეთეს. წლეულს ჯონსონის პენსიაზე გასვლის შემდეგ ვუდვორდმა დალალიოს კაპიტნის ჩინი დაუბრუნა, მაგრამ ეს წელი არცთუ იღბლიანი გამოდგა ემოციებისა და ლიდერებისგან დაცლილი „ვარდებისთვის“. ინგლისმა ექვსი ერის პირველობაზე ირლანდიასა და საფრანგეთთან წააგო და ავსტრალია-ოკეანეთურ ტურნეზეც შეირცხვინა თავი. ეტყობა, გარკვეულწილად ამანაც გადააწყვეტინა დალალიოს „თვიქნემთან“ გამოთხოვება.

ნაკრებში მოხვეჭილი მისი 73 კეპი მეოთხე შედეგია ინგლისელი „ვარდებისთვის“. ინგლისის ღირსება მასზე მეტჯერ მხოლოდ ჯეისონ ლეონარდს (114 მატჩი), რორი ანდერვუდსა (85) და მარტინ ჯონსონს (84) დაუცავთ. ამ 73 მატჩიდან ის 22-ში კაპიტნად გავიდა მოედანზე და იქიდან 15 ლელო გამოიტანა.

ინგლისის ნაკრებიდან კი მიდის, მაგრამ, ვინ იცის, დალალიო უფრო დიდ ნაკრებში ვიხილოთ. ის კვლავ ითამაშებს საკლუბო რაგბის თავის გუნდ ლონდონის „ვოსფსში“ და დიდი შანსია, 2005 წელს ბრიტანელი და ირლანდიელი „ლომები“ (ინგლისის, ირლანდიის, უელსისა და შოტლანდიის ნაკრები, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში დგება სამხრეთელ ბობოლებთან საბურთაოდ) მიიწვიონ.

კოტე ყორშია



დიდი მორაგბე და პოპულარული კაცი ლოურენს დალალიო დიდ რაგბის ემშვიდობება

არ მომიპარავს, მომიპოვებია

ირინა კორჟანენკო ზედმეტად ჯიუტი გამოდგა

რუსი ბირთვის მკვრელი ირინა კორჟანენკო კვლავაც უარზეა, დააბრუნოს ოლიმპიადაზე მოგებული ოქროს მედალი, რომელიც, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, დოპინგშეშხაპუნებულს მოუპოვებია ისტორიული ოლიმპოს მთის ძირად.

რა ხანია, მისი არასპორტული საქციელის ამბავი ცნობილია მსოფლიოსთვის, მაგრამ ირინკა ცოცხალი თავით არ თმობს მედალს. ამბობს, თუ ეს ოქრო დავაბრუნე, ამით დოპინგის მოხმარებას ვაღიარებო...

აქეთ ირინკაა, დოპინგს არ გავკარებივარო, იქით კი მისი შარდსისხლის ანალიზების მპყრობელი ექიმები — ამბობენ დოპინგს კვალი აშკარაა და მორჩი მაიმუნობასო. 30 წლის კორჟანენკოს კი მაინც არაფერი აფრთხობს, ის რუსული არმიის უფროსი ლეინტენანტია, იმ არმიისა, კონსტანტინოპოლი და ბერლინი ჯერაც თავისი რომ ჰგონია და რამდენიმეგრამიან ოქროს დათმობს?!

არ თმობს და იძახის: არ მომიპარავს ეს მედალი, მე ის დამსახურებულად მერგო. 100, 200 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ეს მედალი ალალ ბრძოლაში მოვიგე და ცოცხალი თავით ამის დამთმობი არ ვარო. ლეინტენანტმა კორჟანენკომ ეს სიტყვები მშობლიურ როსტოვში თქვა, სადაც ის ვაკანტური ოქროს მედალი ინახება და თუ საქმე ძალაზე მიდგა, ვიძლო ნატოს ჯარებმაც ვერ მოახერხოს მედლის შუა რუსეთიდან წამოღება.

კორჟანენკოს მამაძაღლობა ეჭვს არ იწვევს, დოპინგის მოხმარებაში ის აქამდეც ამხილეს და ორწლიანი დისკვალიფიკაციაც მოხდილი აქვს. მაგრამ მაშინ მას არც არაფერი მოუგია და დისციპლინარებთან საქმეც არ გართულებია. ახლა კი სასწორზე ოლიმპიური ოქრო, სპორტულ ამბავში უპირველესი ჯილდო დევს და მძლეოსნობის მამებიც დათმობას არ აპირებენ.

თუ კორჟანენკო ოქროს არ დაუბრუნებს, ყველა რუს ათლეტს აეკრძალება საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობაო, გამოუცხადებია მძლეოსნობის მსოფლიო ფედერაციას. ამ ამბავმა ერთობ დააფრთხო რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ვალერი კუზინი, რომელმაც მოსკოვში საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და თანამემამულეებს მოახლოებული საშიშროების ამბავი ამცნო: თუ კორჟანენკოს საქმე არ მოგვარდა, ჩვენს ფედერაციას დისკვალიფიკაცია ელის, რაც ყოვლად დაუშვებელიაო. თუმც ლეიტენანტ კორჟანენკოს არავინ და არაფერი არ აინტერესებს, მედალი დამსახურებულად მომიგია და დაბრუნებას არ ვაპირებო.

კორჟანენკოს ბაძავს უნგრელი უროს მტყორცნელი ადრიან ანუში, რომელმაც ასევე დოპინგქვეშ მოიგო ოქრო და დაბრუნებას არ ფიქრობს.

ირაკლი პერტაია

ჩინელები უკვე პეკინის ოქროებს ითვლიან

ათენის ოლიმპიური სტადიონის ჩირაღდანი ხეირიანად ჯერ არც გაცივებულა, პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორები კი უკვე ოთხი წლის შემდგომ ჩასატარებელი თამაშებისთვის მომზადებას იწყებენ. წინასწარი მონაცემებით, რომელიც გუშინ ინგლისურმა „ინდეპენდიენტმა“ გაავრცელა, ჩინეთი საამსაქმოდ 37 მილიარდი დოლარის დახარჯვას აპირებს, აქაოდა ჩვენმა ოლიმპიადამ ხალხს ყველა წინა ოლიმპიადა უნდა დაავიწყოსო.

აზიელებს ფინანსებთან ერთად აქედანვე დაუგეგმავთ საერთო გუნდურ ჩათვლაში გაჩემპიონება და გაიძახიან, უახლოეს მდევარს ისე უნდა გავუსწროთ, ოლიმპიური თამაშების ბოლო დღეებში პირველობაზე უკვე ხელი ჩაქნეულიც ჰქონდეთო. დაუსახელებიათ კონკრეტული რიცხვიც — 45 ოქროს მედალი. ამაზე ერთით ნაკლებიც კი თურმე წარუმატებლობად ჩაითვლება.

თუ ბოლო ოლიმპიადების სტატისტიკას გადავხედავთ, მივხვდებით, რომ ჩინელებს ოპტიმიზმის საბაბი ნამდვილად აქვთ. სიდნეი 2000-ზე ისინი გუნდურ ჩემპიონ ამერიკის შეერთებულ შტატებს 11 ოქროთი ჩამორჩნენ და წინ რუსებიც გაუშვეს. ათენში კი რუსეთსაც აჯობეს და აშშ-სთან სხვაობაც 3 ოქრომდე შეამცირეს. თან გავითვალსწინეთ, რომ პეკინში მასპინძლებს ბევრად მრავალრიცხოვანი დელეგაცია ეყოლებათ. საორგანიზაციო ხარჯებით კი პეკინი-2008 მართლა გამორჩეული იქნება. ყველაზე ძვირადღირებული ბოლო ოლიმპიადა ხომ 37 მილიარდ დოლარზე სამჯერ ნაკლები დაჯდა.

ოთარ მალლაკელიძე

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

პანი ჰენსიაზე არ ფიქრობს

ფრანგი მეფორმულე ოლივიე პანი დღეს 38 წლის შესრულდა. ეს არც საიუბილეო დაბადების დღეა და თავად მრბოლიც თავისი შედეგებით, რომ იტყვიან, ვარსკვლავებს ვერ წყვეტს. აღნიშვნის საბაბი ის გახლავთ, რომ პანი სადღეისოდ ფორმულა 1-ის ყველაზე ასაკოვანი მძღოლია, ხოლო თითქმის ოთხ ათეულ წლამდე საჭესთან ჯდომა არც ისე ხშირი შემთხვევაა.

ოლივიე პანი „სამეფო რბოლებში“ საკმაოდ ხნოვანი — 27 წლისა გამოჩნდა. ამ ასაკში ზოგიერთს თითქმის ასეტაპიანი სტაჟიც კი აქვს, მაგალითად, ბრაზილიელ რუბენს ბარიკელოს

ოლივიე პანი

საფრანგეთი

დაიბადა 1966 წლის 2 სექტემბერს ლიონში. ცხოვრობს გრენობლში.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი

სიმაღლე 173 სმ; წონა 76 კგ

დებიუტი ფორმულა 1-ში: ბრაზილიის დიდი პრიზი (1994)

155 რბოლა: 1 მოგება (მონაკო, 1996); 76 ქულა

ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი – მერვე ადგილი (1995)

ასპარეზობდა „ლიჟიეში“ (1994-96), „პროსტში“(1997-99), B.A.R-ში (2001-02)

„ტოიოტაშია“ 2003 წლიდან

— მანამდე ფორმულა 3000-ში გამოვდიოდი, 1994 წელს კი წინადადებები მივიღე „ბენეტონიდან“, „ტირელიდან“ და „ლიჟიედან“ — იხსენებს ოლივიე — საბოლოოდ ჩემს თანამემამულე გი ლიჟიეს გუნდში აღმოვჩნდი და არც ვნანობ, ცუდად არ მირბოლია. კონტრაქტს ყოველი რბოლის შემდეგ მიგრძელებდნენ, ამდენად, ნორმალური შედეგები რომ არ მქონოდა, ფორმულა ერთში არავინ გამაჩერებდა. „ლიჟიეს“ ბოლიდი შედევრი ნამდვილად ვერ იყო, თუმც სტაბილურობით გამოირჩეოდა. მაშინ, როცა წამყვან საჯინიბოების მანქანებსაც კი მუდამ რაღაც უტყდებოდათ, ეს ბევრს ნიშნავდა.“

ოლივიემ „ლიჟიეში“ სამი სეზონი დაჰყო და სწორედ მაშინ მოიპოვა კარიერაში დღემდე ერთადერთი დიდი პრიზი — 1996 წელს მონტე კარლოში. ის მეტად კურიოზული რბოლა გამოვიდა, ფინიშამდე მხოლოდ სამმა ბოლიდმა მიაღწია, ბრძოლას გამოეთიშნენ მიხაელ შუმახერი, დეიმონ ჰილი, ჟაკ ვილნევი, მიკა ჰაკინენი...

„რა თქმა უნდა, ბედმაც გამიმართლა და მანქანამაც, მე ხომ რბოლა მე-14 პოზიციიდან დავიწყე. მაგრამ ტრასაზე ამდენი ინციდენტიც რომ არ მომხდარიყო, მაინც მგონია, საკმაოდ მაღალ ადგილზე გავიდოდი, ექვსეულში ნამდვილად ვიქნებოდი.“

1997 წელს პანი ლეგენდარულმა ალენ პროსტმა მიიწვია თავის გუნდში. თავიდან საქმე ჩინებულად აეწყო — ოლივიემ ექვსიდან ოთხი რბოლა ჩასათვლელ ექვსეულში დაასრულა, მაგრამ მერე მონრეალში ჟილ ვილნევის სახელობის ტრასაზე ისეთი ავარია შეემთხვა, კინაღამ წერტილი დაესვა მის კარიერას. ერთ-ერთ მოსახვევში ლიონელის „პროსტი“ ბეტონის კედელს მიეხეთქა, მერე კი ძველი საბურავების დამცავ ჯებირში ცხვირით შეერჭო. შედეგად — ორივე ფეხის მოტეხილობა და სამთვიანი მკურნალობა.

„იმ ავარიას მძიმე შედეგები ჰქონდა. ექიმებმა ფეხებში ლითონის ღეროები ჩამიდგეს. ასე რომ, მთელი წელი, ვიდრე მათ განმეორებითი ოპერაციით ამომიღებდნენ, საჭესთან მუდამ შიშით ვჯდებოდი, კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა და შეიძლება საერთოდ უფეხებოდ დავრჩენილიყავი. საშინელი გრძნობაა.“

იქნებ ეს უბრალოდ დამთხვევაა, უხეირო მანქანებისგან გამოწვეული, მაგრამ იმ კატასტროფის შემდეგ ვერც BAR-ში და ვერც „ტოიოტაში“ პანი ახლოსაც ვეღარ მივიდა სეზონში თავის საუკეთესო, 1995 წლის მერვე ადგილთან.

წლეულს 14 ეტაპის შემდეგ ექვსი ქულით მხოლოდ მე-14 ადგილზეა, მაგრამ ასეთი არასახარბიელო სატურნირო ვითარების მიუხედავად, მომავალს იმედით უყურებს:

„ივნისში აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშება ჩემს კარიერაში 150-ე ეტაპი იყო. მიჭირს დაჯერება, რომ უკან ამდენი რბოლა დარჩა. ამ ათ წელიწადში აღმასვლაც მქონია და ჩავარდნაც, რაც მთავარია, დღეს ძველებურად ჯანზე ვარ და თავს ახალგაზრდად ვგრძნობ. ჩემი შემდგომი მიზანია 200 რბოლა. მინდა ჟან ალეზის მიღწევა გავუთანაბრო.“

ფრანგ პილოტთაგან ყველაზე მეტრბოლიანმა ჟან ალეზიმ საფორმულო მოღვაწეობა სამი წლის წინ 201 ეტაპის შემდეგ დაასრულა.

გია ახალაძე



ოლივიე პანიმ თავისი ერთადერთი დიდი პრიზი „ლიჟიეთი“ მოიგო

ანი ოლივიეს ფინანსური მრჩეველიცაა და მისი სამი შვილის დედაც

გოგოთი ვარჯიშობს

რონალდო ბრაზილიაშია: უქმეებზე ნაკრები ბოლივიელებს ხვდება შესარჩევ მატჩში და მონდომებითაც ვარჯიშობს. ტერესიბოლოისის საწვრთნელ ბაზაზე რონალდოს გელფრენდი დანიელა ჩიკარელიც ახლავს. მოწყენილები არ ჩანან.

REUTERS *რიო დე ჟანეიროდან*



REUTERS *ლუკ ბუენა ვისტადან*

ნაჩემპიონევს

მოიპოვა ოლიმპიური ოქროები მაიკლ ფელპსმა და დიდი მოგზაურობაც დაიწყო. ის, იან კროუერი და ლენი კრაისელბერგი ფლორიდაში, იქაურ დისნეი ვორლდის პარკში ჩაბმულან საღლაბუცო შეჯიბრში, ბუენა ვისტას ტბის პირას. ღონისძიებას „დისნეის ცურვა და ვარსკვლავები ჰქვია“. ტურნე კი გრძელია: 3 მოცურავე ამერიკის თორმეტ განთქმულ ქალაქს მოივლის.

REUTERS *შიანტაოდან*

მთავარი სკოლა

შიანტაო, ჰუბეის პროვინციის ქალაქი ჩინეთში, ტყუილად არ ატარებს საამაყო სახელს: ჩინური ტანვარჯიშის სამშობლო. სწორედ ამ ქალაქშია განთქმული სკოლა-ინტერნატი, საიდანაც მთელი ჩინეთიდან ავროვებენ ტანვარჯიშობის ნიჭის მქონე გოგონებსა და ბიჭებს, 4-დან 10 წლამდე. ამ სკოლის გამოზრდილნი არიან ოლიმპიური ჩემპიონები ლი შიაოშანგი (ამჟამად სკოლის მეთაური გახლავს, იანგ ვეი და ჟენგ ლიჰუი. ცხადია, ჩემპიონები მეტი და მეტი იქნებიან.



REUTERS *შიანტაოდან*

REUTERS *პეკინიდან*

ოლიმპიადა დასრულდა, ყველანი შინ ბრუნდებიან. ჩინეთს ჩავიდა იქაური კალათბურთის გოლიათი იაო მინგიც, რა თქმა უნდა, უმეტესობა. ოლიმპიური დიდება სხვებს ხვდათ წილად, თუმცა, გოლიათი მაინც რჩება ჩინეთის ყველაზე პოპულარულ ადამიანად.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge